



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა
ლაუტსის და სხვების საქმე იტალიის წინააღმდეგ

CASE OF LAUTSI AND OTHERS V. ITALY

(საჩივარი N 30814/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

18 მარტი 2011

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა, მაგრამ შეიძლება დაექვემდებაროს რედაქტირებას

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

საქმეში Lautsi and Others v. Italy,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა დიდი პალატის სახით შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ჟან პოლ კოსტა, თავმჯდომარე,
ხრისტის როზაკისი,
ნიკოლას ბრატსა,
პეერ ლორენსენი,
ჯოვანი ბონელო,
ნინა ვაჯიჩი,
რაიტ მარუსტე,
ანატოლი კოვლერი,
სვერრე ერიკ იებენსი,
პაივი ჰირველა,
ჯორჯიო მალივერნი,
გეორგ ნიკოლაუ,
ანა პოვერი,
ზდრაჰვა კალაიდჯიევა,
მიჰაი პოალელუნგი,
გუიდო ლაიმონდი, მოსამართლეები,
და ეროკ ფრიბერგი, რეგისტრატორი,

იმსჯელა განმარტოებით 2010 წლის 30 ივნისს და 2011 წლის 16 თებერვალს,
და მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება 2011 წლის 16 თებერვალს:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს იტალიის მოქალაქის ქ-ნი სოილე ლაუტსის (შემდგომში “პირველი მომჩივანი”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (‘კონვენცია’) 34-ე მუხლის თანახმად, 2006 წლის 27 ივლისს იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი საჩივარიდან (#30814/06). მომჩივანი აცხადებდა, რომ მას საჩივარი წარდგენილი ჰქონდა საკუთარი და მისი შვილების დატაიკოსა და სამი ალბერტინების სახელით, რომლებიც საჩივრის წარდგენის მომენტისათვის არასრულწლოვნები იყვნენ. მოგვიანებით, როდესაც ბავშვებმა მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს მათ დაადასტურეს, რომ სურდათ კვლავაც ყოფილიყვნენ მომჩივნები ამ საქმეში (საქმეში მეორე და მესამე მომჩივანი).
2. მომჩივნების ინტერესს წარმოადგენდა ბ-ნი ნ. პოლეტი, რომში მოღვაწე ადვოკატი. იტალიის მთავრობის (მთავრობა) ინტერესებს წარმოადგენდა

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

სახელმწიფოს აგენტი ქ-ნი ე. სპატაფორა, მისი მოადგილე თანააგენტები, ბ-ნი ლეტტიერი და ქ-ნი პ. აკვარდო.

3. საჩივარი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52\$1 მუხლი). 2008 წლის 1 ივლისს ხსენებული სექციის პალატამ, შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით: ფრანსუაზა ტულკენსი, ანტონელა მულარონი, ვლადიმერო ზაგრებელსკი, დანუტე ჟოსიენე, დროგოლიუბ პოპოვიჩი, ანდრას საიო და ისილ კარაკასი, გადაწყვიტა ეცნობებინა მთავრობისათვის წარდგენილი საჩივრის შესახებ, და კონვენციის 29\$3 მუხლზე დაყრდნობით, თანადროულად ემსჯელა საჩივრის არსებით განხილვაზე დასაშვებობისა და საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

4. 2009 წლის 3 ნოემბერს იმავე სექციის პალატამ, შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით ფრანსუაზა ტულკენსი, თავმჯდომარე, ირენეუ კაბრალ ბარეტო, ვლადიმერო ზაგრებელსკი, დანუტე ჟოსიენე, დროგოლიუბ პოპოვიჩი, ანდრას საიო და ისილ კარაკასი, საჩივარი არსებით განხილვაზე დაშვებულად ცნო და ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას კონვენციის მე-9 მუხლთან ერთობლიობაში. პალატამ ასევე გადაწყვიტა, რომ აუცილებელი არ იყო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიის ცალკე განხილვა.

5. 2010 წლის 28 იანვარს მთავრობამ მოითხოვა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა კონვენციის 43 და სასამართლოს რეგლამენტის 73-ე მუხლების შესაბამისად. 2010 წლის 1 მარტს დიდი პალატის კოლეგიამ დააკმაყოფილა მთავრობის მოთხოვნა.

6. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის კონვენციის 26\$4 და 5 მუხლის და რეგლამენტის 24-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

7. მომჩივნებმა და მთავრობამ სასამართლოს წარუდგინეს დამატებითი კომენტარები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

8. წერილობით პროცედურებში საქმეში მესამე მხარედ ჩართვის ნებართვა (კონვენციის 36\$2 მუხლისა და რეგლამენტის 44\$2 მუხლის თანახმად) მიეცათ ევროპის პარლამენტის 30 წევრს, რომლებიც კოლექტიურად ჩაერთვნენ საქმეში, არასამთავრობო ორგანიზაცია საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორს, რომელიც ადრეც წარსდგა პალატის წინაშე, არასამთავრობო ორგანიზაციას ასოციაციონე ნაზიონალე დელ ლიბერო პენსიერო არასამთავრობო ორგანიზაცია ევროპული ცენტრი სამართლისა და მართლმსაჯულებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაცია Eუროჯურის, არასამთავრობო ორგანიზაციებს ინტერნაციონალ ჩომმიტტეე ოფ ჟურისტს, ინტერიგპტს და ჰუმან ლიგპტს ჭატცპ-ს რომლებმაც კოლექტიურად წარუდგინეს სასამართლოს მოსაზრებები, არასამთავრობო ორგანიზაციებს მენტრალკომიტეე დერ დეუტსცჰენ კატპოლიკენ, შემაინეს სოციალეს დე ფრანცე და ასოციაციონი ცრისტიანე ლავორატორი იტალიანი რომლებმაც კოლექტიურად წარუდგინეს სასამართლოს მოსაზრებები, სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის, მონაკოს, რუმინეთისა და სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობებს.

სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტისა და სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობებს ასევე მიეცათ უფლება კოლექტიურად წარედგინათ თავიანთი მოსაზრებები ზეპირი პროცედურებისას.

9. საქმის მოსმენა გაიმართა 2010 წლის 30 ივნისს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში (რეგლამენტის 59§3).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

ა) მოპასუხე მთავრობის მხრიდან

ბ-ნი ნიკოლა ლეტტიერი, თანააგენტი

ბ-ნი ჯუზეპე ალბენციო მრჩეველი

ბ) მომჩივნების მხრიდან

ბ-ნი ნიკოლო პაოლეტი, წარმომადგენელი

ქ-ნი ნატალია პაოლეტი,

ქ-ნი კლაუდია სარტორი მრჩეველები

გ) სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტისა და სან მარინოს რესპუბლიკის საქმეში მესამე მხარედ ჩართული მთავრობების მხრიდან:

ბ-ნი ჯოზეფ ვეილერი, სამართლის პროფესორი, ნიუიორკის უნივერსიტეტი, წარმომადგენელი,

ბ-ნი სტეფან კარტაშიანი, ევროპის საბჭოში სომხეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,

ბ-ნი ბ-ნი ანდრეი ტეჰოვი, ევროპის საბჭოში ბულგარეთის ელჩი,

ბ-ნი იანის მიჩილიდესი, ევროპის საბჭოში კვიპროსის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,

ქ-ნი ვასილიეტა პელეკოუ, ევროპის საბჭოში საბერძნეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,

ბ-ნი დარიუს სიმიატისი, ევროპის საბჭოში ლიტვის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,

ბ-ნი ჯოსეფ ლიკარი, ელჩი, ევროპის საბჭოში მალტის მუდმივი წარმომადგენელი,

ბ-ნი გეორგი მატეიუშკინი, რუსეთის ფედერაციის მთავრობის აგენტი,

ბ-ნი გვიდო ბელლატი ჩეკოლი, სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობის თანააგენტი,

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მრჩევლები

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ნიკოლო პაოლეტის, ქ-ნი ნატალია პაოლეტის, ბ-ნი ლეტტიერის, ბ-ნი ალბენციოსა და ბ-ნი ველიერის მიმართვები.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

10. პირველი მომჩივანი და მისი ორი ვაჟი, დატაიკო და სამი ალბერტინები (მეორე და მესამე მომჩივანი) დაიბადნენ შესაბამისად 1957 წელს, 1988 წელს და 1990 წელს. ისინი ცხოვრობენ იტალიაში. 2001-2002 სასწავლო წლებში დატაიკო და სამი სწავლობდნენ Istituto comprensivo statale Vittorino da Feltre – ში, ალბანო ტერმეს საჯარო სკოლაში. ხსენებული სკოლის ყოველ საკლასო ოთახში კედლებზე მიმაგრებული იყო ჯვრები.

11. 2002 წლის 22 აპრილს სკოლის დირექტორების შეკრებაზე, პირველი მომჩივნის ქმარმა წამოწია საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლოების არსებობის საკითხი, კერძოდ ჯვრებთან დაკავშირებით, და მოითხოვა საკლასო ოთახებიდან ჯვრების გატანა. 2002 წლის 27 მაისს, 10 ხმით 2 ხმის წინააღმდეგ (ერთმა დირექტორმა თავი შეიკავა), სკოლის დირექტორებმა გადაწყვიტეს საკლასო ოთახებში დაეტოვებინათ რელიგიური სიმბოლოები.

12. 2002 წლის 23 ივლისს პირველმა მომჩივანმა გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება ვენეტოს ადმინისტრაციულ სასამართლოში. მომჩივანი ჩიოდა სეკულარიზმის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით და ეყრდნობოდა იტალიის კონსტიტუციის მე-3 მუხლს (თანასწორობის პრინციპი) და მე-19 მუხლს (რელიგიის თავისუფლება) და ევროპული კონვენციის მე-9 მუხლს, ისევე როგორც საჯარო ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების მიუკერძოებლობის პრინციპს (კონსტიტუციის 97-ე მუხლი).

13. 2002 წლის 3 ოქტომბერს განათლების, უნივერსიტეტებისა და კვლევების მინისტრმა გამოსცა დირექტივა #2667, რომლითაც შესაბამისი სამინისტროს კომპეტენტურ სამსახურებს დაავალა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, რათა სკოლების დირექტორებს უზრუნველყოთ კლასებში ჯვრების არსებობა (იხ. ქვემოთ 24-ე პუნქტი).

2003 წლის 30 ოქტომბერს მინისტრი მესამე მხარედ ჩაერთო პირველი მომჩივანის საქმეში. იგი ამტკიცებდა, რომ საჩივარი დაუსაბუთებელი იყო, რადგანაც საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვრების განთავსება დადგენილი იყო 1924 წლის 30 აპრილის #965 სამეფო დადგენილების 118-ე მუხლით (საშუალო სკოლების შიდა წესები) და 1928 წლის #1297 სამეფო

დადგენილების 119-ე მუხლი (დაწყებითი განათლების ზოგადი წესების დამტკიცება იხ. ქვემოთ მე-19 პუნქტი).

14. 2004 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულმა სასამართლომ საკითხის კონსტიტუციურობის განსასაზღვრად საქმე გადაუგზავნა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც უნდა დაედგინა თუ რამდენად შეესაბამებოდა ქვეყნის სეკულარიზმის პრინციპსა და კონსტიტუციის მე-2, მე-3, მე-7, მე-8, მე-19 და მე-20 მუხლებს 1994 წლის 16 აპრილის #297 კანონის 159-ე და 190-ე მუხლები (რომლითაც დამტკიცდა განათლებასა და სკოლებთან დაკავშირებული გაერთიანებული ტექსტი), კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემსჯელა იმ “მახასიათებლებთან” დაკავშირებით, რომლებიც გამოდმინარეობდა ზემოხსენებული სამეფო დადგენილებების 118-119 და იმავე დადგენილების 676-ე მუხლიდან.

159-ე და 190-ე მუხლები დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის ავეჯის შესყიდვის პასუხისმგებლობას აკისრებენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. 1928 წლის დადგენილების 119-ე მუხლი, ადგენს, რომ კოველ საკლასო ოთახში უნდა ეკიდოს ჯვარი, ხოლო 1924 წლის 118-ე მუხლი კი ადგენს, რომ ყოველ ოთახში განტავსებული უნდა იყოს მეფის სურათი და ჯვარი. # 297-ე კანონის 676-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გაერთიანებულ ტექსტში არმესული დებულებები ძალაში რჩება “გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანებულ ტექსტთან და გაუქმებულია”.

2004 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით (#389), საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული მიმართვა დაუშვებლად ცნო იმ საფუძვლით, რომ რეალურად იგი ეხებოდა იმ ტექსტებს, რომლებსაც არ გააჩნდა კანონის სტატუსი, არამედ წარმოადგენდა მხოლოდ რეგულაციებს (ზემოხსენებული 118-ე და 119-ე მუხლები), რომელთა კონსტიტუციურობის განხილვაც არ წარმოადგენდა სასამართლოს ამოცანას.

15. 2005 წლის 17 მარტს ადმინისტრაციულმა სასამართლომ განსახილველად არ მიიღო საჩივარი. მას შემდგომ რაც დაადგინა, რომ 1924 წლის 30 აპრილის სამეფო დადგენილების 118-ე მუხლი და 1928 წლის 26 აპრილის სამეფო დადგენილების 119-ე მუხლი კვლავაც ძალაში იყო და ხაზი გაუსვა რა “სახელმწიფოს სეკულარულობის პრინციპს, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ევროპული და დასავლეთ დემოკრატიების სამართლებრივ მემკვიდრეობას”, სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვრების განთავსება, იმ მნიშვნელობით რა მნიშვნელობითაც ისინი იყო განთავსებული ოთახებში, არ არღვევდა სეკულარიზმის პრინციპს. კერძოდ სასამართლოს აზრით მართალია ჯვრები უდაოდ წარმოადგენდა რელიგიურ სიმბოლიკას იგი იყო ზოგადად ქრისტიანობის სიმბოლო და არა მხოლოდ კათოლიციზმის სიმბოლო და ამგვარად ეს სიმბოლო სხვა მრწამსსაც ეხმიანებოდა. სასამართლოს განმარტებით ჯვარი წარმოადგენდა ისტორიულ და კულტურულ სიმბოლოს, რომელიც იტალიელი ხალხისათვის ატარებდა

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

“იდენტურობასთან დაკავშირებულ ღირებულებას” ხსენებული კი მდგომარეობდა იმაში, რომ “იგი იგი ასახავდა იტალიისა და და ზოგადად ევროპისათვის დამახასიათებელ ისტორიულ და კულტურულ განვითარებას, და ამ განვითარების კარგ სინთეზს წარმოადგენდა”. ადმინისტრაციულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ჯვარი უნდა ჩაითვალოს იმ სისტემის ღირებულების სიმბოლოდ, რომელსაც ეფუძვნება იტალიის კონსტიტუცია. სასამართლომ შემდეგი მიზეზები წარმოადგინა:

“... მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო იაზრებს თუ რაოდენ ვიწრო და ციცაბო ბილიკს ადგას, ამ ეტაპზე სასამართლო ადგენს, რომ ქრისტიანობა და მისი უფროსი ძმა იუდაიზმი – სულ მცირე მოსეს შემდგომ და რათქმა უნდა ტალმუდური განმარტების თანახმად – შემწყნარებლობას იჩენდა სხვა რელიგიების მიმართ და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ადამიანის ღირსების დაცვა.

მარტო აღებული ქრისტიანობა – მაგალითად კარგად ცნობილი და ხშირად არასწორად აღქმული გამონათქვამით “უბოძეთ კეისარს კეისრისა და ...” – განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მოყვასისადმი სიყვარულს, გულმონწყალეობა კი, რომელსაც გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვიდრე თავად მრწამსს, არსობრივად მოიცავდა შემწყნარებლობის, თანასწორობის და თავისუფლების იდეებს, რომლებიც წარმოადგენს თანამედროვე სეკულარული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, მათ შორის ეს ეხება იტალიასაც.

11.2 შორსმჭვრეტელობა შესაძლებელს ხდის, რომ ორი ათასი წლის წინანდელი ქრისტიანული რევოლუცია მივიჩნიოთ ევროპაში პიროვნების თავისუფლების დადასტურებად და განათლების უმნიშვნელოვანეს ელემენტად (მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მოძრაობა ისტორიულ კონტექსტში, ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა რელიგიას), იგი ხელს უწყობდა ყველა პირის თავისუფლებას, ადამიანის უფლებების აღიარებას და თანამედროვე სეკულარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ყველა ხსენებული ისტორიული ფენომენი მნიშვნელოვანწილად ეფუძვნება – ნათლად და არა ექსკლუზიურად – სამყაროს ქრისტიანულ კონცეპციას. დადასტურებულ იქნა – კეთილგონივრულად – რომ ცნობილი მოწოდება “თავისუფლება, თანასწორობა, მეგობრობა” ადვილად შეუძლია განახორციელოს ქრისტიანმა, მსოფლიოს მესამე ქვეყნებში.

დასკვნის სახით ზედმეტი არ იქნება იმის მტკიცება, რომ ევროპული ისტორიის სხვადასხვა ცვალებადობით, თანამედროვე სახელმწიფოს სეკულარული ბუნება მიღწეულ ძალიან დიდ ფასად, და ნაწილობრივ მას საფუძვლად დაედო, თუმცა არა ექსკლუზიურად, ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად ღირებულებებზე მეტ ნაკლები მითითება. ხსენებულით აიხსნება ის თუ რატომ ხდება, რომ ევროპასა და იტალიაში ძალიან ბევრი იურისტი, რომლებიც არიან ქრისტიანები, ამავე დროს არიან სეკულარული სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი მხარდამჭერები ...

11.5 კავშირი ქრისტიანობასა და თავისუფლებას შორის მოიაზრებს ლოგიკურ ისტორიულ თანაცხოვრებას, რომლის მყისიერად დანახვაც შეუძლებელია – იგი გავს კლდოვან გარემოში მხოლოდ ახლად აღმოჩენილ მდინარეს, რომლის უმეტესი ნაწილიც მიწის ქვეშ მიედინება – ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ევროპაში სახელმწიფოებსა და ეკლესიებს შორის მუდმივად ცვალებად ურთიერთობებში, გაცილებით ადვილია ეკლესიების მხრიდან სახელმწიფოს საქმეებში ჩარევის მრავალი მცდელობა და საპირისპიროდ, მაგალითად ხშირი შემთხვევები, როდესაც ქრისტიანული იდეალები მიტოვებულ იქნა – მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოფიციალურად აღიარებული იყო – ძალაუფლების განხორციელებისას ან როდესაც მთავრობებსა და რელიგიური ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელიც ხშირად ძალადობასაც გულისხმობდა.

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

11.6 უფრო მეტიც, წარსულ მოვლენებზე თვალის გადავლებით, ადვილია ქრისტიანულ სარწმუნოებაში, მიუხედავად ინკვიზიციისა, ანტისემიტიზმისა და ჯვაროსნული ლაშქრობებისა, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობისა და თავისუფლების, რელიგიის თავისუფლების პრინციპებს უმნიშვნელოვანესი როლის იდენტიფიცირება და ამიტომაც ბოლო ანალიზში შესაძლებელია დავინახოთ სეკულარული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები.

11.7 ისტორიის ყურადღებით შესწავლისას, რაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი დროის მონაკვეთში და არა ძალიან ახლო ისტორიის კონტექტში, ჩვენ შეგვიძლია გვჯეროდეს მსგავსება ქრისტიანობის “უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს, რომელიც გულმოწყალებას ყველაზე მაღლა აყენებს, მათ შორის რწმენაზე და აღიარებს განსხვავებებს და იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის “უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს” შორის, რომელიც სოლიდარულობის პრინციპიდან გამომდინარე მნიშვნელობას ანიჭებს ყველას თავისუფლებას და ამიტომაც წარმოადგენს სხვების პატივისცემის სამართლებრივ გარანტიას. ჰარმონია სუფევს მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მნიშვნელოვანი მახასიათებლების გარშემო – ორივე მათგანი ფოკუსირებას ახდენს ადამიანის ღირსებაზე – დროის გასვლასთან ერთად ადგილი ჰქონდა მრავალი გარე ელემენტის მიბმას და ზოგიერთი ეს ელემენტი იმდენად სქელია, რომ ბუნდოვანს ხდის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, განსაკუთრებით კი ქრისტიანობის მახასიათებელ ელემენტებს. ...

11.9 ხსენებულიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ დღევანდელ სოციალურ რეალობაში ჯვრები უნდა განიხილებოდეს არამხოლოდ როგორც ისტორიული და კულტურული განვითარების სიმბოლო და შესაბამისად ჩვენი ხალხის იდენტურობის გამომსახველი, არამედ ასევე სისტემის ღირებულებების ამსახველი: როგორებიც არის თავისუფლება, თანასწორობა, ადამიანის ღირსება და რელიგიური შემწყნარებლობა და შესაბამისად ასევე სახელმწიფოს სეკულარული ბუნება – პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს კონსტიტუციას.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თავისუფლების კონსტიტუციურ პრინციპებს მრავალი საფუძველი აქვს, რომელთაგან ერთ ერთი თავისი არსით ქრისტიანობაა. შესაბამისად პარადოქსული იქნებოდა სეკულარიზმის სახელით გამოგვერიცხა ქრისტიანობის გავლენა საჯარო ინსტიტუტზე მაშინ როდესაც სეკულარიზმის შორეული წყარო სწორედაც რომ ქრისტიანული რელიგიაა.

12.1 სასამართლოს უცნობი არ არის ის ფაქტი, რომ წარსულში სხვა ღირებულებები ასოცირდებოდა ჯვართან, როგორც ეს ხდებოდა ალბერტინის წესდების დროს, რომელიც კათოლიციზმის ნიშნად იყო აღქმული და მიიჩნეოდა სახელმწიფო რელიგიად და შესაბამისად გამოიყენებოდა გასაქრისტიანებლად და ხელისუფლების ორგანოების მიერ ძალაუფლების გასამყარებლად.

უფრო მეტიც, სასამართლოსათვის კარგად არის ცნობილი, რომ დღევანდელ რეალობაში კვლავაც შესაძლებელია ჯვართან მიმართებაში სხვადასხვა ინტერპრეტაციების არსებობა, და ყველაზე გავრცელებული მათ შორის არის ჯვრის დაკავშირება მკაცრად რელიგიურ მნიშვნელობასთან და მითითება ზოგადად ქრისტიანობაზე, კონკრეტულად კი კათოლიციზმზე. სასამართლოსათვის ასევე ცნობილია, რომ ზოგიერთმა მოსწავლემ, რომელიც დადის საჯარო სკოლაში შესაძლოა მიიჩნიოს რომ ჯვარი ატარებს განსხვავებულ ღირებულებას და საკლასო ოთახში მისი განთავსებით სხვა რელიგიებთან შედარებით დაუშვებელი პრივილეგია ენიჭება ერთ კონკრეტულ რელიგიას. ხსენებული მოსწავლეები ასევე მიიჩნევენ რომ ეს არღვევს პირად თავისუფლებას და შესაბამისად სახელმწიფოს სეკულარულ ბუნებას, ექსტრემალური მიდგომა გულისხმობს დროებით ცონტროლს სახელმწიფო რელიგიაზე, ან ინკვიზიციას, ან თავისუფალ კათეჯიზმის ვაუჩერს, რომელიც ძალაუფლებად გადაეცემა არამორწმუნეებს შეუფერებელ ადგილას, ან ქვეცნობიერ პროპაგანდას ქრისტიანული სარწმუნოების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოხსენებული მოსაზრება იმსახურებს პატივისცემას, მათი გაზიარება არ შეიძლება წინამდებარე საქმეში. ...

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

12.6 ამგვარად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ჯვარის სიმბოლო ამჟამად, შემწყნარებლობის იდეიდან გამომდინარე, მოიაზრებს ფაქტის განხილვის გარკვეულ აფრგლებს, რომლის თანახმადაც ამჟამად იტალიის საჯარო სკოლებში სწავლობს ბევრი მოსწავლე, რომლებიც არ არიან ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები, და მათთვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობისა და განსხვავებულობის პრინციპების გაცნობა და ფუნდამენტალიზმის ნებისმიერი ფორმის უარყოფა – იქნება ეს რელიგიური თუ სეკულარული – რომელიც მოქმედებს ჩვენს სისტემაში. ჩვენს ერას ახასიათებს ის ფერმენტი, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა კულტურის ჩვენს კულტურასთან ურთიერთობის შედეგად, და იმისათვის, რათა ისინი კოლიზიაში არ მოვიდნენ აუცილებელია დადასტურებულ იქნეს ჩვენი იდენტურობა, თუნდაც სიმბოლოურად, განსაკუთრებით კი ისეთი მახასიათებლებით, როგორებიც არის ყოველი ადამიანის ღირსების პატივისცემა და უნივერსალური ერთიანობა. ...

13.2 ფაქტიურად რელიგიური სიმბოლოები ზოგადად მოიაზრებს ლოგიკური გამორიცხვის მექანიზმს, რადგანაც ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობისათვის ათვლის წერტილად მიჩნეულია რწმენა აღმატებული არსებისადმი, და სწორედ ხსენებულის გამო მიმდევრები და მორწმუნეები მიიჩნევენ თავიანთ თავს მართლმორწმუნეებად. შესაბამისად მორწმუნის მიდგომა, თუკი მას შეეხება არამორწმუნის თვალთ, რომელიც ქვეცნობიერად ეწინააღმდეგება უზენაესი არსების არსებობას, წარმოადგენს განდგომას. ...

13.3 ურწმუნოს განდგომის ლოგიკური მექანიზმი ახასიათებს ნებისმიერ აღმსარებლობას, თუნდაც შესაბამისმა პირებმა არ იცოდნენ ეს, ერთადერთი გამონაკლისი კი არის ქრისტიანობა – სადაც ეს ჯეროვნად არის აღქმული. რა თქმა უნდა ხსენებული არ გულისხმობს ეს ყველა შემთხვევაში უცილობლად ასე ხდება, და ეს არ არის მხოლოდ მათ გამო ვინც თავის თავს ქრისტიანს უწოდებს. ქრისტიანობაში ღმერთისადმი რწმენაც კი მეორეხარისხოვანია გულმონწყალებასთან შედარებით და უმთავრესი ყურადღება გადატანილია მოყვასის სიყვარულსა და პატივისცემაზე. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ ქრისტიანის მიერ არაქრისტიანის უარყოფა მოიაზრებს თვით ქრისტიანობის რადიკალურ უარყოფას, არსებით განდგომას; თუმცა იგივე არ ხდება სხვა რელიგიურ მიმდინარეობებში, რომელთათვისაც განდგომა და უარყოფა ძირითადად ვლინდება მნიშვნელოვანი მცნებების დარღვევაში.

13.4 ამიტომაც ჯვარს, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს არ შეუძლია გამორიცხოს ვინმე და ამავე დროს თავი თავი არ უარყოს; შესაბამისად ჯვარი, როგორც ასეთი, წარმოადგენს უნივერსალურ ნიშანს ყველა ადამიანის აღიარებასა და პატივისცემასთან დაკავშირებით მიუხედავად რწმენისა, რელიგიური თუ სხვა სტატუსისა, რომელსაც პირი შესაძლოა ფლობდეს. ...

14.1 საეჭვოა, აუცილებელი იყოს იმის დამატება, რომ ჯვრების ჩამოკიდება საკლასო ოთახებში, როდესაც მათი აღქმა ხდება ჯეროვან კონტექსტში, ზეგავლენას არ ახდენს ვინმეს რწმენაზე, არ გამორიცხავს ვინმეს და არ აკისრებს ვინმეს და არ ავალდებულებს ვინმეს, არამედ გულისხმობს თავის თავში იმავე მიზანს რაც გააჩნია საჯარო სკოლაში განათლებასა და სწავლებას – რასაც უნდა ახორციელებდნენ მასწავლებლები – იტალიის ისტორიასა და ჩვენი საზოგადოების საერთო ღირებულებებთან დაკავშირებით, რაც ასახულია კონსტიტუციაში. ხსენებულ ღირებულებებს შორის კი სახელმწიფოს სეკულარულ ბუნებას უკავია წამყვანი ადგილი. ...”

16. პირველმა მომჩივანმა საჩივრით მიმართა *Consiglio di Stato*-ს (უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს), რომელმაც დაადასტურა, რომ საჯარო სკოლებში ჯვრების არსებობას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი 1924 წლის 30 აპრილის დადგენილების 118-ე მუხლისა და 1928 წლის 26 აპრილის 119-ე მუხლის სახით და იმ გაგებით, რასაც გულისხმობდა საკლასო ოთახში ჯვრის ჩამოკიდება, ხსენებული შესაბამისობაში იყო სეკულარიზმის

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

პრინციპთან. კერძოდ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიაში ჯვრები ახდენდნენ ღირებულებების რელიგიურ წარმომავლობას (შემწყნარებლობა, ურთიერთპატივისცემა, პიროვნების პატივისცემის ამაღლება, უფლებების განმტკიცება, სხვათა თავისუფლებების პატივისცემა, პიროვნების მორალისა და სინდისის ავტონომიურობა ხელისუფლებასთან მიმართებაში, ადამიანთა ერთიანობა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის უარყოფა), რაც ახასიათებდა იტალიის ცივილიზაციას. ხსენებული კუთხით როდესაც კლასებში ხდება ჯვრების ჩამოკიდება, მათ შეუძლიათ - თუნდაც "სეკულარული" კონტექსტში და იმ მნიშვნელობისაგან განსხვავებით, რომელიც გააჩნია ჯვარს რელიგიური გაგებით - მნიშვნელოვანი როლის შესრულება, მიუხედავად იმისა თუ რომელი რელიგიური მიმდინარეობის მოსწავლეები სწავლობენ ამ კლასში. *Consiglio di Stato* -მ დაადგინა, რომ ჯვრები უნდა მიჩნეულიყო ისეთ სიმბოლოდ, რომელიც თავის თავში ატარებდა ზემოხსენებული ღირებულებების მნიშვნელოვან წყაროს, ღირებულების, რომელიც განსაზღვრავდა სეკულარიზმს სახელმწიფოს თანამედროვე კანონმდებლობის შესაბამისად.

თავის 2006 წლის 13 აპრილის (#556) გადაწყვეტილებაში უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ შემდეგი დასაბუთება წარმოადგინა:

"საკონსტიტუციო სასამართლომ რამოდენიმეჯერ განაცხადა, რომ სეკულარიზმი წარმოადგენს კონსტიტუციური წყობის უზენაეს პრინციპს, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს კონსტიტუციური ლეგიტიმურობის გარკვეული საკითხები (სხვადასხვა გადაწყვეტილებებს შორის იხ. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება სავალდებულო რელიგიურ სწავლებასთან დაკავშირებულ დებულებებს სკოლაში ან ეხება სასამართლოების იურისდიქციას იმ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია საეკლესიო სამართლის თანახმად განხორციელებულ და რეესტრში დაფიქსირებულ ქორწინებათა ნამდვილობასთან).

ეს არის პრინციპი, რომელიც ნათლად არ არის კონსტიტუციაში ასახული, პრინციპი, რომელიც მდიდარია იდეოლოგიური რეზონანსით და გამოზრმედილ იქნა პოლემიკის შედეგად, თუმცა ის არის პრინციპი, რომელსაც გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა და იგი გამომდინარეობს ჩვენი სისტემის ფუნდამენტური ნორმებიდან. რეალურად კი სასამართლოს აზრით ხსენებული პრინციპი გამომდინარეობს კონკრეტულად კონსტიტუციის მე-2, 3, 7, 8, 19 და მე-20 მუხლებიდან.

პრინციპი იყენებს ლინგვისტურ სიმბოლოს (სეკულარიზმი), რომელიც შემოკლებული ფორმით მიუთითებს ზემოხსენებული დებულებების გარკვეულ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომელთა შინაარსიც ადგენს იმ პირობებს, რომელთა თანახმადაც ხსენებული სიმბოლო უნდა იქნეს გაგებული და მოქმედებდეს. თუკი ხსენებული კონკრეტული პირობები არ იქნება დადგენილი, სეკულარიზმის პრინციპი შემოფარგლული იქნება მხოლოდ იდეოლოგიური კონფლიქტებით და მისი გამოყენება ძნელად თუ იქნება შესაძლებელი სამართლებრივ კონტექსტში.

ხსენებულ სამართლებრივ სისტემაში მოქმედი პირობები რაღა თქმა უნდა განისაზღვრება კულტურულ ტრადიციებზე მითითებითა და ხალხის გათვალისწინებით, იმ დონემდე სანამ ხსენებული ტრადიციები და ჩვეულებები ასახვას ჰპოვებს კანონმდებლობაში. ჩვეულებები კი განსხვავდება სხვადასხვა ერებს შორის...

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

სასამართლოების კონტექსტში, რომლებიც განიხილავდნენ ამ პრობლემას, კერძოდ კი ხელისუფლების ორგანოების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ კანონმდებლობის შესაბამისად, ჯვრების განთავსებას საკლასო ოთახებში, სასამართლოებს უნდა გადაემოწმებინათ ირღვეოდა თუ არა კონსტიტუციური მართლწესრიგის ფუნდამენტური ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ “სეკულარიზმის” პრინციპს. ეს პრინციპი კი წარმოადგენს იტალიის სახელმწიფოს მთავარ მახასიათებელს და ამ პრინციპზე დაყრდნობა მრავალჯერ განახორციელა საკონსტიტუციო სასამართლომ.

საკმაოდ ნათელია, რომ ჯვარი თავისთავად არის სიმბოლო, რომელსაც შესაძლოა გააჩნდეს სხვადასხვა მნიშვნელობა და ემსახურებოდეს სხვადასხვა მიზანს, გააჩნია თუ სად არის იგი დაკიდებული.

იმ ადგილებში სადაც მიმდინარეობს აღმსარებლობა, ჯვარი ჯეროვნად მიიჩნევა რომ წარმოადგენს “რელიგიურ სიმბოლოს”, რადგანაც მისი მიზანია ქრისტიანული რელიგიის დამაარსებლისათვის ჯეროვანი პატივისცემა.

არა რელიგიურ კონტექსტში, მაგალითად სკოლაში, სადაც ხორციელდება ახალგაზრდების განათლება, ჯვარი შესაძლოა ატარებდეს იგივე მნიშვნელობას მორწმუნეთათვის, მაგრამ მორწმუნეთათვის და ურწმუნოთათვის ჯვარის კედელზე ჩამოკიდება გამართლებული და არადისკრიმინაციული იქნებოდა რელიგიური კუთხით, თუკი ამ სიმბოლოს შესაძლებლობა ექნებოდა ხელოვნურად და რეალური აღქმის კონტექსტში (როგორც სიმბოლოს), მოეხდინა იმ ფასეულობების წარმოჩენა, რომლებიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი იგულისხმება ის ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს და ამოძრავებს ჩვენს კონსტიტუციურ მართლწესრიგს, ჩვენი სამოქალაქო ცხოვრების საფუძველს. ხსენებულ კონტექსტში ჯვარი შეიძლება ატარებდეს - თუნდაც “სეკულარული” გაგებით ისეთ მნიშვნელობას, რომელიც განსხვავდება რელიგიურისაგან – საგანმანათლებლო სიმბოლოურ ფუნქციას, მიუხედავად იმისა თუ რომელ რელიგიას აღიარებენ მოსწავლეები.

ახლა უკვე ნათელია, რომ იტალიაში ჯვარს სიმბოლოურად, მაგრამ ჯეროვნად, შეუძლია გამოხატოს ისეთი ღირებულებების რელიგიური წარმოშობა როგორებიც არის – შემწყნარებლობა, ურთიერთპატივისცემა, პირის პატივისცემა, პირის უფლებების განმტკიცება, პირის თავისუფლებების პატივისცემა, პირის ზნეობის და სინდისიერების პატივისცემა, ადამიანთა ერთიანობა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვა – რაც ახასიათებს იტალიის მოსახლეობას.

ხსენებულმა ღირებულებებმა განსაზღვრეს ტრადიციები, ცხოვრების წესი, იტალიელი ხალხის კულტურა, ისინი აყალიბებენ საფუძვლებს ჩვენი კონსტიტუციის წარმომავლობის საწყისებს – რომელიც დაცულია “ფუნდამენტურ პრინციპებში” და მის პირველი ნაწილში და ეს ასევე გამომდინარეობს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებიდან, რომელიც ეხება სეკულარიზმის ფორმას, რაც დამახასიათებელია იტალიის სახელმწიფოსათვის.

ჯვრის მეშვეობით ხსენებულ ღირებულებებზე მითითება და მათი სრული თავსებადობა ქრისტიანულ სწავლებასთან ნათელს ხდის შესაბამისი ღირებულებების წარმომავლობას და კითხვის ქვეშ კი არ აყენებს სეკულარიზმს, არამედ ადასტურებს დროებითი ძალაუფლების ავტონომიურობას სულიერი ძალაუფლების საპირისპიროდ (თუმცა ხსენებული არ გულისხმობს ოპონირებას, სეკულარიზმის მოაზრებულ ან იდეოლოგიურ განმარტებას, რომელიც არ არის ხსენებული ნათლად კონსტიტუციაში). ისე რომ ხსენებული არანაირად არ აკნინებს სეკულარულ ხასიათს, რომელიც გამომუშავებულ იქნა იმ კულტურულ კონტექსტში, რომელიც ახასიათებს იტალიის სახელმწიფოს ფუნდამენტურ მმართველობას. ხსენებულიდან გამომდინარე ეს ღირებულებები სულდგმულობს სამოქალაქო საზოგადოებაში რელიგიური საზოგადოებისაგან ავტონომიურად (და არა წინააღმდეგობრივად). ამგვარად შესაძლებელი უნდა იყოს ამ ღირებულებების განხორციელება ყველას მიერ სეკულარულად, მიუხედავად იმისა თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებენ ადამიანები.

ისევე როგორც ნებისმიერ სიმბოლოსთან მიმართებით, შესაძლებელია ჯვარსაც გააჩნდეს სხვადასხვა მნიშვნელობა; ზოგს შეუძლია უარყოს მისი სიმბოლოური ღირებულება და

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მხოლოდ ხელოვნების ნიმუშად მიიჩნიოს იგი. თუმცა კლასში ჩამოკიდებული ჯვარი არ შეიძლება უმნიშვნელო ნივთად იქნეს მიჩნეული რომელსაც გააჩნია მხოლოდ დეკორატიული ღირებულებები, და არ შეიძლება მისი მიჩნევა როგორც სარიტუალო ნივთად. არამედ იგი მიჩნეული უნდა იქნეს ზემოხსენებული ღირებულებების მატარებლად, ღირებულებების რომლებიც განსაზღვრავენ სეკულარიზმს სახელმწიფოს დღევანდელ სამართლებრივ წყობაში...”

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

17. დაწყებითი სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის განთავსების ვალდებულება განსაზღვრულია პიდმონტ-სარდინიას სამეფოს 1860 წლის 15 სექტემბრის #4336 სამეფო დეკრეტის 140-ე მუხლში, რომელიც გამოცემულია 1859 წლის 13 ნოემბრის კანონის შესაბამისად და რომლის მიხედვითაც: `უკლებლივ ყველა სკოლა უნდა იყოს აღჭურვილი ... `ჯვარცმით` (140-ე მუხლი).

1861 წელს, როცა იტალიის სახელმწიფო წარმოიშვა, პიდმონტ-სარდინიას 1848 წლის კანონი გახდა იტალიის სამეფოს კონსტიტუცია; უფრო კონკრეტულად, იგი ადგენდა: `რომანულ კათოლიკური სამოციქულო რელიგია იქნას სახელმწიფოს ერთადერთ რელიგიად მიჩნეული და სხვა არსებული მრწამსები იქნება შეწყნარებული კანონის შესაბამისად.

18. 1870 წლის 20 სექტემბერს იტალიის არმიის მიერ რომის აღებამ, რომლის შემდეგაც ქალაქი იქნა ანექსირებული და იტალიის სამეფოს დედაქალაქად გამოცხადებული, წარმოშვა კრიზისი სახელმწიფოს და კათოლიკურ ეკლესიის ურთიერთობას შორის. 1871 წლის 13 მაისის 214-ე კანონის შესაბამისად, იტალიის სახელმწიფომ ცალმხრივად დაარეგულირა ეკლესიასთან ურთიერთობა, მისცა რა პაპს გარკვეული პრივილეგიები რელიგიური მოქმედებების განსახორციელებლად. მომჩივანთა მიხედვით, ჯვარცმის ხატის სკოლებში გამოსახვა თანდათან გადადიოდა ხმარებიდან.

19. ფაშისტურ პერიოდში სახელმწიფომ განახორციელა რამდენიმე ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ჯვარცმის საკლასო ოთახებში გამოსახვის ვალდებულების შესრულებას.

მაგალითად, 1922 წლის 22 ნოემბერს განათლების სამინისტრომ დააგზავნა ცირკულარი (#68) შემდეგი შინაარსით: `....უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში სამეფოს დაწყებით სკოლებში ქრისტეს გამოსახულება და მეფის პორტრეტი იქნა ჩამოხსნილი. აღნიშნული წარმოადგენს რეგულაციების აშკარა და დაუშვებელ დარღვევას, განსაკუთრებით სახელმწიფოს დომინანტ რელიგიაზე და ერის ერთიანობაზე შეტევას. შესაბამისად ჩვენ ვბრძანებთ, რომ ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციულმა დაწესებულებამ სამეფოში აღადგინონ რწმენის და სახელმწიფო შეგნების ორი საკრალური სიმბოლო.”

1924 წლის 30 აპრილს 1924 წლის 30 აპრილის #965 დეკრეტი იქნა მიღებული. იგი ადგენდა საშუალო სკოლების მმართველობის შიდა რეგულაციებს

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

საშუალო სკოლებისთვის (*ordinamento interno delle giunte e dei regi istituti di istruzione media*). 118-ე მუხლი ადგენდა:

“ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს ეროვნული დროშა და ყველა საკლასო ოთახში წარმოდგენილი უნდა იყოს ჯვარცმა და მეფის პორტრეტი”.

1928 წლის 26 აპრილის #1297 სამეფო დეკრეტის 119-ე მუხლი, რომელიც ამტკიცებდა დაწყებითი განათლების მომწესრიგებელ ზოგად რეგულაციებს (*approvazione del regolamento generale sui servizi dell'istruzione elementare*), ადგენდა, რომ ჯვარცმა უნდა ყოფილიყო “საკლასო ოთახების აუცილებელი მოწყობილობა”.

20. 1929 წლის 11 თებერვალს ხელმოწერილი ლათერანული პაქტები, უთითებდნენ იტალიის სახელმწიფოს და კათოლიკური ეკლესიის “შერიგებაზე”. აღინიშნა, რომ კათოლიციზმი წარმოადგენდა იტალიის ოფიციალურ რელიგიას და შერიგების ხელშეკრულების პირველი მუხლი წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახით:

“იტალია ცნობს და ადასტურებს იტალიის 1848 წლის 4 მარტის კონსტიტუციის პირველ მუხლში დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც რომანულ კათოლიკურ სამოციქულო რელიგია წარმოადგენს სახელმწიფოს ერთადერთ რელიგიას.”

21. 1948 წელს იტალიამ მიიღო მისი რესპუბლიკური კონსტიტუცია, რომლის მეშვიდე მუხლის მიხედვით: “სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია, თავიანთ საქმიანობაში არიან დამოუკიდებელი და სუვერენული და მათი ურთიერთობა უნდა იქნას დარეგულირებული ლათერანული პაქტებით და მასში შეტანილი შესწორებებით, რომლებიც უნდა იქნას დადასტურებული ორივე მხარეთა მიერ და არ საჭიროებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურას.” მე-8 მუხლი ადგენს:

“ყველა რელიგიური მრწამსი კანონის წინაშე თანასწორად თავისუფალია ... კათოლიციზმისგან განსხვავებულ რელიგიურ რწმენას აქვს ორგანიზების უფლება თავიანთი რეგულაციების შესაბამისად, იმ დაშვებით, რომ ისინი არ არიან შეუთავსებელი იტალიურ სამართლებრივ წესრიგთან და მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან უნდა განისაზღვროს კანონით, მათ შესაბამის წარმომადგენლებთან შეთანხმებით.”

22. 1984 წლის 18 თებერვლის ახალი კონკორდატის ოქმი, რომელიც 1985 წლის 25 მარის #121 კანონით იქნა რატიფიცირებული, ადგენს რომ ძალაში აღარ არის ლათერანულ პაქტში განსაზღვრულ პრინციპი, რომლის მიხედვითაც კათოლიკური რელიგია არის ერთადერთი სახელმწიფო რელიგია.

23. 1989 წლის 12 აპრილის განჩინებაში (#203), რომელიც გამოტანილ იქნა იმ საქმეში, სადაც დავის საგანი იყო სახელმწიფო სკოლებში კათოლიკური

რელიგიის ინსტრუქციების არასავალდებულო ხასიათი, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სეკულარიზმის პრინციპი მომდინარეობდა კონსტიტუციიდან და განსაზღვრა რომ იგი არ გულისხმობდა სახელმწიფოს ინდეფერენტულობას რელიგიისადმი, არამედ, რელიგიური თავისუფლების დაცვის ვალდებულების გარანტიას კონფესიული და კულტურული პლურალიზმის კონტექსტში.

განსახილველი საქმის გადაწყვეტისას, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო სკოლებში ჯვარცმის არსებობის შესაბამისობას სეკულარიზმის პრინციპთან, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მას არ გააჩნდა საქმის განხილვის იურისდიქცია, რადგან აღნიშნულის მომწესრიგებელი აქტები წარმოადგენენ რეგულაციებს (2004 წლის 15 დეკემბრის #389 გადაწყვეტილება; იხილეთ მე-14 პარაგრაფი ზემოთ). იგივე საკითხის გადაწყვეტისას, *Consiglio di Stato* -მ დაადგინა, რომ იმ მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, რომელიც მას გააჩნდა, სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობა შეესაბამებოდა სეკულარიზმის პრინციპს (2006 წლის 13 თებერვლის განჩინება, # 556; იხილეთ მე-16 პარაგრაფი ზემოთ).

სხვა საქმეში, საკასაციო სასამართლომ აირჩია *Consiglio di Stato* -სგან განსხვავებული შეხედულება იმ შემთხვევაში, რომელიც შეეხებოდა პირის სისხლისსამართლებრივ დევნას საარჩევნო უბანზე დამკვირვებლობაზე უარის თქმის გამო იმ საფუძვლით, რომ ჯვარცმის ხატი იყო წარმოდგენილი იქ. 2000 წლის 1 მარტის (#349) განჩინებაში, მან დაადგინა, რომ ჯვარცმის არსებობა ხეყოფდა სეკულარიზმის პრინციპს და სახელმწიფოს მიუკერძოებლობას და იმ პირთა რწმენის თავისუფლებას, რომლებიც არ იზიარებდნენ ამ სიმბოლოსადმი ერთგულებას. მან პირდაპირ უარყო ის არგუმენტი, რომ ჯვარცმის ხატის გამოსახვა გამართლებული იყო, რადგან იგი წარმოადგენდა 'მთლიანი ცივილიზაციის ან კოლექტიური ეთიკური შეგნების' სიმბოლოს და – აქ საკასაციო სასამართლომ მოახდინა *Consiglio di Stato* -ს მიერ 1988 წლის 27 აპრილის მოსაზრებაში (#63) გამოყენებული ტერმინის წარმოდგენა – რომ იგი ასევე განასახიერებდა 'უნივერსალურ რწმენას კონკრეტული რელიგიური რწმენისგან დამოუკიდებლად'.

24. 2002 წლის 3 ოქტომბერს განათლების, უნივერსიტეტების და კვლევების მინისტრმა გამოსცა შემდეგი ინსტრუქცია (#2666):

'...მინისტრი

.... იმის მხედველობაში მიღებით, რომ საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობა ეფუძნება ძალაში მყოფ დებულებას, რომ იგი არ ხელყოფს არც რელიგიურ პლურალიზმს და არც იტალიურ სკოლებში მრავალკულტურული განათლების მიზნებს და რომ იგი არ შეიძლება იქნას მიჩნეული, როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული რწმენის თავისუფლების შეზღუდვად, რადგან იგი არ ეხება კონკრეტულ რწმენას და წარმოადგენს მხოლოდ ქრისტიანული ცივილიზაციის და კულტურის გამოხატულებას, შესაბამისად კაცობრიობის საყოველთაო მემკვიდრეობის ფორმას;

შეაფასა, რომ განსხვავებული ლოიალურობის, აღმსარებლობის და რწმენის მიმართ პატივისცემის მხედველობაში მიღებით, სკოლებისათვის სასურველია დავალებულია, მათი

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

ავტონომიის და კომპეტენტური კოლეგიალური ორგანოების გადაწყვეტილებების ფარგლებში, გამოიყოს შესაბამისი ფართი, ვალდებულებების და ნებისმიერი ფიქსირებული საათების განსაზღვრის გარეშე, განხილვისთვის და მედიტაციისთვის სკოლის საზოგადოების იმ წევრთათვის, რომელთაც აღნიშნული სურთ;

ადგენს შემდეგ ინსტრუქციას:

სამინისტროს კომპეტენტური სამსახური ... განახორციელებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ნახონ რომ:

- 1) სკოლის მართველები უზრუნველყოფენ ჯვარცმის არსებობას საკლასო ოთახებში;
- 2) ყველა სკოლა, მათი ავტონომიის ფარგლებში და მათი კოლეგიალური ორგანოების წევრთა გადაწყვეტილებით, გამოიყოს შესაბამისი ფართი ვალდებულებების და ნებისმიერი ფიქსირებული საათების განსაზღვრის გარეშე, განხილვისთვის და მედიტაციისთვის სკოლის საზოგადოების იმ წევრთათვის, რომელთაც აღნიშნული სურთ..."

25. კონსტიტუციის მე-19, 33-ე და 34-ე მუხლები შემდეგი შინაარსისაა:

მე-19 მუხლი

“ყველას აქვთ გარანტირებული თავისუფლად გამოხატოს თავიანთი რელიგიური რწმენა ნებისმიერი ფორმით, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად და ხელი შეუწყონ და აღნიშნონ წესჩვეულებები საჯაროდ ან კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ ხელყოფენ საზოგადოებრივ მორალს.”

33-ე მუხლი

“რესპუბლიკა ადგენს შემოქმედების და მეცნიერების თავისუფლების გარანტიას და რომლებიც შეიძლება ისწავლებოდნენ თავისუფლად.

რესპუბლიკა ადგენს განათლების მიღების ზოგად წესს და აარსებს ყველა დარგის და ეტაპის სახელმწიფო სკოლას....”

34-ე მუხლი

“სკოლები ყველასთვის თავისუფალია.

დაწყებითი განათლება, რომელიც მინიმუმ 8 წლისგან შედგება, სავალდებულო და თავისუფალია.”

III. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების და პრაქტიკის მიმოხილვა სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არსებობასთან დაკავშირებით

26. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში რელიგიური სიმბოლოების სახელმწიფო სკოლებში არსებობის საკითხი არ არის მოწესრიგებული რაიმე სპეციალური რეგულაციით.

27. რელიგიური სიმბოლოების სახელმწიფო სკოლებში წარმოდგენა პირდაპირაა აკრძალული მხოლოდ მცირე ოდენობის წევრ სახელმწიფოებში: ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, საფრანგეთი (გარდა ელსასისა და მოსელის დეპარტემენტ-ისა) და საქართველო.

აღნიშნული პირდაპირაა ნებადართული – იტალიის ჩათვლით – მცირე რაოდენობის წევრ სახელმწიფოებში, უფრო კონკრეტულად: ავსტრია, გერმანიის (Länder) და შვეიცარიის (communes) რამდენიმე ადმინისტრაციული რეგიონი და პოლონეთი. ამის მიუხედავად, ამგვარი სიმბოლოები გვხვდება

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

რამდენიმე იმ წევრ სახელმწიფოთა საჯარო სკოლებშიც, სადაც აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული, როგორცაა მაგალითად ესპანეთი, საბერძნეთი, ირლანდია, მალტა, სან მარინო და რუმინეთი.

28. საკითხი განხილულ იქნა რამდენიმე წევრ სახელმწიფოს უზენაეს სასამართლოთა მიერ.

შვეიცარიაში ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ კომუნალური დადგენილება, რომელიც მოითხოვდა დაწყებითი სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის ხატის არსებობას, არ შეესაბამებოდა ფედერალურ კონსტიტუციაში განსაზღვრულ აღმსარებლობითი ნეიტრალიტეტის პრინციპს, მაგრამ აღნიშნული მსჯელობა არ გაავრცელა ამგვარი საგნების სკოლის ტერიტორიის სხვა ნაწილებში გავრცელებაზე (1990 წლის 26 სექტემბერი ATF 116 1a 252).

გერმანიაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი შინაარსის ბავარიული დადგენილება ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნეიტრალიტეტს და ძნელად თავსებადი იყო იმ ბავშვების რელიგიის თავისუფლებასთან, რომლებიც არ იყვნენ კათოლიკეები (1995 წლის 16 მაისი; BVerfGE 93,1). ბავარიულმა პარლამენტმა შემდეგ გამოსცა ახალი დადგენილება იგივე რეგულირებით, მაგრამ ნება დართო მშობლებს განეცხადებინათ მათი რელიგიური ან სეკულარული რწმენა და გაესაჩივრებინათ ჯვარცმის ხატის არსებობა იმ საკლასო ოთახში, რომელშიც მათი შვილი დადიოდა და შესაბამისად წარმოდგენილ იქნა მექანიზმი რომლის მიხედვითაც კომპრომისი ან საკითხის პიროვნული გადაწყვეტა იყო შესაძლებელი.

პოლონეთში ომბუდსმენმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა 1992 წლის 14 აპრილის დადგენილება, რომელიც განათლების მინისტრის მიერ იქნა გამოცემული და ადგენდა შესაძლებლობას წარმოდგენილიყო საჯარო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის ხატები. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ღონისძიება შეესაბამებოდა აღმსარებლობის და რელიგიის თავისუფლებას და კონსტიტუციის 82-ე მუხლში განსაზღვრულ სახელმწიფოს და ეკლესიის გამიჯვნის პრინციპს, რადგან აღნიშნული არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს (1993 წლის 20 აპრილი; U 12/32).

რუმინეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა დისკრიმინაციის პრევენციის ეროვნული საბჭოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განათლების სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, რათა სახელმწიფოს მიერ ადმინისტრებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოების არსებობის საკითხი დარეგულირებულიყო მხოლოდ რელიგიური სწავლებების ან რელიგიური ინსტრუქტაჟისთვის გამიზნულ სპეციალურ ოთახებში. უფრო კონკრეტულად უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ტიპის სიმბოლოების საგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსების საკითხი უნდა ყოფილიყო მასწავლებლების,

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

მოსწავლეების და მოსწავლეთა მშობლების მიერ ფორმირებული საზოგადოების გადაწყვეტილების საგანი (2008 წლის 11 ივნისი; 2393) ესპანეთში კასტილის და ლეონის უმაღლესმა სასამართლომ, იმ საქმეში, რომელიც წარდგენილი იყო სეკულარული სწავლების სასარგებლოდ მებრძოლი ასოციაციის მიერ და რომლებმაც უშედეგოდ ითხოვეს რელიგიური სიმბოლოების სკოლებიდან ჩამოხსნა, დაადგინა, რომ აღნიშნულმა სკოლებმა უნდა მოაცილონ ჯვარცმის ხატები, თუკი ისინი მიიღებდნენ მოსწავლეთა მშობლებისგან პირდაპირ მოთხოვნას აღნიშნულის შესახებ (2009 წლის 14 დეკემბერი; ნო. 3250).

სამართალი

I. კონვენციის მეცხრე მუხლის და პირველი ოქმის მეორე მუხლის სავარაუდო დარღვევა

29. მომჩივნების ჩიოდნენ იმის გამო, რომ ჯვარცმის ხატები განთავსებული იყო იმ საჯარო სკოლის საკლასო ოთახის კედელზე, რომელშიც დადიოდნენ მეორე და მესამე მომჩივნები. მათი განცხადებით, აღნიშნული წარმოადგენდა განათლების უფლებაში ჩარევას, რაც გარანტირებულია პირველი ოქმის მეორე მუხლში შემდეგი შინაარსით:

“არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.”

მათ ასევე განაცხადეს, რომ აღნიშნული ფაქტი არღვევდა მათი აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას, რომელიც განსაზღვრულია კონვენციის მე-9 მუხლში, რომლის თანახმადაც:

“1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

A. პალატის განჩინება

30. 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინებაში პალატამ დაადგინა, რომ კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას ჰქონდა ადგილი კონვენციის მე-9 მუხლთან ერთობლიობაში.

31. პირველ რიგში სასამართლომ წარმოადგინა პირველი ოქმის მეორე მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული პრინციპები, რომლებიც დადგენილი იყო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით და შეეხებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას თავი შეეკავებინა რწმენის დავალდებულებისგან, მათ შორის არაპირდაპირ, ისეთ ადგილებში, სადაც პირები იყვნენ მასზე დამოკიდებულნი ან სადაც წარმოადგენდნენ განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას, იმის ხაზგასმით, რომ ამ მიმართებით ბავშვთა სასკოლო განათლება იყო განსაკუთრებით სენსიტიური სფერო.

სასამართლომ განაცხადა, რომ ჯვარცმის მნიშვნელობის სიმრავლეთა შორის, რელიგიური დატვირთვა იყო დომინანტი. შესაბამისად მიიჩნია, რომ ჯვარცმის სავალდებულო და აშკარად თვალშისაცემი წარმოდგენა საკლასო ოთახებში იყო საკმარისი, რათა გამოეწვია პირველი მომჩივნის, რომელთა შვილები იმავდროულად დადიოდნენ სახელმწიფო სკოლაში, სეკულარულ რწმენასთან წინააღმდეგობა, ასევე იგი იყო ემოციურად შემაწუხებელი არაქრისტიანი რელიგიის ან არცერთი რელიგიის მიმდევარ მოსწავლეთათვის. საბოლოო საკითხის სახით, პალატამ ხაზი გაუსვა, რომ `ნეგატიური` რელიგიის თავისუფლება არ იყო შეზღუდული რელიგიური ღვთისმსახურებით ან განათლებით; იგი ვრცელდებოდა იმ პრაქტიკაზე და სიმბოლოებზე, რომლებიც გამოხატავდნენ კონკრეტულად ან ზოგადად რწმენას, რელიგიას ან ათეიზმს. აღნიშნულ იქნა, რომ `ნეგატიური უფლება` იმსახურებდა სპეციალურ დაცვას, თუ სახელმწიფო გამოხატავდა რწმენას და მისი მოწინააღმდეგეები იმყოფებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, როცა მათ არ შეეძლოთ გამოყოფა არაპროპორციული მცდელობების ან თავგანწირვის გარეშე.

პალატის განამარტების თანახმად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება შეინარჩუნოს აღმსარებლობითი ნეიტრალიტეტი საჯარო განათლებისას, როცა სასკოლო დასწრება სავალდებულოა რელიგიის მიუხედავად და რაც უნდა იყოს მიზანმიმართული მოსწავლეებისთვის კრიტიკული აზროვნების უნარის ჩანერგვისკენ. აღნიშნულ იქნა დამატებით, რომ სასამართლო ვერ ხედავდა იმას, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში იმ სიმბოლოს წარმოდგენით, რომელიც გონივრულად ასოცირდებოდა იტალიელთა უმრავლესობის რელიგიასთან, საგანმანათლებლო პლურალიზმის დამკვიდრება, რომელიც `დემოკრატიული საზოგადოების` შენარჩუნების საფუძველია კონვენციური მნიშვნელობით.

32. სასამართლომ დაასკვნა, რომ `სხვადასხვა შემთხვევებში შესაბამისი სამთავრობო ზედამხედველობის სფეროში, საჯარო მართველობისას კონკრეტული რწმენის სიმბოლოს სავალდებულო გამოსახვა, განსაკუთრებით

საკლასო ოთახში, ზღუდავდა მშობელთა უფლებას მისცენ განათლება თავიანთ შვილებს მათი რწმენის შესაბამისად და სკოლის მოსწავლეთა უფლებას იწამონ ან არ იწამონ”. პრაქტიკა ხელყოფდა ამ უფლებებს, რადგან `შეზღუდვები არ შეესაბამებოდნენ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის ვალდებულებას სახელმწიფო მმართველობის განხორციელებისას, განსაკუთრებით განათლების სფეროში” (განჩინება, პ. 57).

B. მხარეთა არგუმენტები

1. მთავრობა

33. მთავრობას არ გამოუთქვამს პრეტენზია დასაშვებობაზე.

34. მთავრობამ გამოთქვა სინანული, რომ პალატას არ ჰქონდა ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს და რელიგიას შორის ურთიერთობაზე და სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების გამოსახვის შესახებ შედარებით სამართლებრივ კვლევაზე. მათ აღნიშნეს, რომ პალატას არ განუხილავს არსებითი მნიშვნელობის საკითხი, რადგან ამგვარი კვლევა დაადასტურებდა, რომ არ არსებობს საერთო მიდგომა ამ მიმართებით ევროპაში და შესაბამისად სახელმწიფოთა ფართო მიხედულების საზღვრები იქნებოდა აღიარებული; შედეგად, პალატამ მის განჩინებაში არ მიიღო მხედველობაში მიხედულების ზღვარი, შესაბამისად მოახდინა პრობლემის ფუნდამენტური ასპექტის იგნორირება.

35. მთავრობამ ასევე გააკრიტიკა პალატის განჩინება, რადგან იგი ეფუძნებოდა აღმსარებლობითი `ნეიტრალიტეტის” პრინციპის კონცეფციას, რაც სახელმწიფოს და კონკრეტულ რელიგიას შორის ნებისმიერ ურთიერთობას გამორიცხავდა, მაშინ როცა მიუმხრობლობა მოითხოვდა საჯარო ადმინისტრაციული ორგანოებისგან ყველა რელიგიის მხედველობაში მიღებას. შესაბამისად განჩინება ეფუძნებოდა `ნეიტრალიტეტს” (`ინკლუზიური კონცეფცია”) და `სეკულარიზმს” (`გამომრიცხველი კონცეფცია”) შორის აღრევას. უფრო მეტიც, მთავრობის მოსაზრებით, ნეიტრალიტეტი გულისხმობდა სახელმწიფოთა ვალდებულებას, რათა მათ მოეხდინათ არამხოლოდ რომელიმე რელიგიის წახალისებისგან თავის შეკავება, არამედ, ასევე ათეიზმისაც. პალატის განჩინება ეფუძნებოდა არასწორ განმარტებას და უტოლდებოდა არარელიგიური ან ანტირელიგიური მიდგომის მხარდაჭერას, რომლის თავგამოდებული მხარდამჭერი იყო მომჩივანი, როგორც ათეისტთა და რაციონალ აგნოსტიკოსთა კავშირის წევრი.

36. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ მხედველობაში უნდა მიღებულიყო ის ფაქტი, რომ ერთი სიმბოლო შეიძლება განსხვავებულად აღქმულიყო სხვადასხვა პირთა მიერ. აღნიშნული ვრცელდებოდა ჯვრის ნიშანზეც, რომელიც არამხოლოდ რელიგიურ სიმბოლოდ მიიჩნეოდა, არამედ, ასევე წარმოადგენდა კულტურულ და იდენტობასთან დაკავშირებულ ნიშანს,

რომელიც აღნიშნავდა დასავლური დემოკრატიის და ცივილიზაციის საფუძვლების საძირკველს; მაგალითისთვის, იგი იყო გამოსახული რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს დროშებზე. მიუხედავად `სურათის` მიმანიშნებელი ხასიათისა, მთავრობის განცხადებით, იგი წარმოადგენდა `პასიურ სიმბოლოს`, რომლის გავლენა პირებზე განსხვავდებოდა `აქტიური მოქმედებისგან` და არავის აღუნიშნავს ამ საქმეში, რომ სწავლების შინაარსი იტალიაში ექცეოდა საკლასო ოთახებში განთავსებული ჯვარცმის ხატების მოქმედების ქვეშ.

მათი არსებობა წარმოადგენდა `ეროვნული თვითმყოფადობის` გამოხატულებას, რაც განასახიერებდა სახელმწიფოს, ხალხს და კათოლიციზმს შორის მჭიდრო კავშირს და მომდინარეობდა იტალიის ისტორიული, კულტურული და ტერიტორიული განვითარებით და კათოლიციზმის ღირებულებების მჭიდროდ მიმდევრობით. ჯვარცმის ხატის სკოლებში წარმოადგენდა იყო საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნება. მთავრობამ განაცხადა, რომ მშობელთა უფლება პატივი სცენ მათ `საოჯახო კულტურას`, არ უნდა ხელყოფდეს საზოგადოების უფლებას მოახდინონ კულტურის გადაცემა ან ბავშვთა უფლებას აღმოაჩინონ იგი. უფრო მეტიც, ემოციური ხელშეშლის `პოტენციური რისკის` გამო განათლების უფლების და აზრის, აღმსარებლობის და რელიგიის თავისუფლების დარღვევის დადგენით, პალატამ საკმაოდ გააფართოვა ამ დებულებათა შინაარსი.

37. *Otto-Preminger-Institut v. Austria* -ის 1994 წლის 20 სექტემბრის განჩინებაზე (Series A no. 295-A) მითითებით, მთავრობამ განაცხადა, რომ მხედველობაში უნდა მიღებულიყო ის ფაქტი, რომ იტალიელთა უმრავლესობის რელიგიას წარმოადგენდა კათოლიციზმი და აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება, როგორც ეს პალატამ მიიჩნია. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ უნდა გააცნობიეროს და დაიცვას ეროვნული ტრადიციები და გაბატონებული სახალხო შეხედულებები და მისცეს თითოეულ სახელმწიფოს შესაძლებლობა უზრუნველყოს განსხვავებულ ინტერესთა შორის ბალანსი. უფრო მეტიც, სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, სკოლის კურიკულუმი ან უმრავლესობის რელიგიის უპირატესობის დამდგენი დებულებები არ შეეხებოდნენ არაჯეროვან გავლენას სახელმწიფოს მხრიდან ან ინდოქტრინაციის მცდელობას და შესაბამისად, სასამართლომ პატივი უნდა სცეს სახელმწიფოთა კონსტიტუციურ ტრადიციებს და პრინციპებს, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფოს და რელიგიის ურთიერთობას – მათ შორის ამ საქმეში გამოყენებულ კონკრეტულ მიდგომას სეკულარიზმის მიმართ, რომელიც იტალიაში გამოიყენებოდა – და მხედველობაში მიიღოს ყველა სახელმწიფოს კონტექსტი.

38. იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რომ პირველი ოქმის მეორე მუხლი ვრცელდებოდა მხოლოდ სკოლის კურიკულუმზე, მთავრობამ გააკრიტიკა პალატის განჩინება, რომლითაც დადგენილ იქნა დარღვევა,

რადგან მასში არ იყო მითითება, თუ რამდენად შეეძლო ხელი შეეშალა პირველი მომჩივნის შვილების საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობას მათი უფლებების განხორციელებაში აღეზარდათ ბავშვები მათი რწმენის შესაბამისად; ერთადერთი მიზეზი, რომელიც იქნა წარმოადგენილი იყო ის, რომ მოსწავლეები განათლებას მიიღებენ ისეთ სასკოლო გარემოში, რომელიც აღნიშნულია კონკრეტული რელიგიური ნიშნით. აღნიშნული მიზეზი იყო არასწორი, როცა საკითხი ფასდება სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის საზომით, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ პირველ რიგში კონვენცია არ უკრძალავს წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ სახელმწიფო რელიგია, გამოხატონ კონკრეტული რელიგიის მიმართ უპირატესობა ან განახორციელონ დომინანტი რელიგიის მიმართ უფრო ფართო საგანმანათლებლო პროგრამები მოსწავლეთათვის და ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ მშობლების გავლენა შვილებზე იყო უფრო დიდი, ვიდრე სკოლისა.

39. მთავრობის მოსაზრებით, ჯვარცმის არსებობა საკლასო ოთახებში უზრუნველყოფდა მოსწავლეთათვის იმ ეროვნული საზოგადოების აღქმადობას, რომელშიც მათი ინტეგრაცია იყო მოსალოდნელი. 'გარემოს გავლენა' არ იყო მოსალოდნელი, რადგან ბავშვები იტალიაში იღებდნენ ისეთ განათლებას, რომელიც მათ ეხმარებოდათ განევითარებინათ კრიტიკული ხედვა რელიგიის მიმართ და აღნიშნული ხორციელდებოდა მშვიდ გარემოში, საიდანაც გამოირიცხებოდა რაიმე სახის პროზელიტიზმი. გარდა ამისა, იტალიას ჰქონდა შემსუბუქებული მიდგომა უმცირესობის რელიგიებთან მიმართებით სასკოლო გარემოში: იტალიის კანონი ამჟამად იძლევა უფლებას ატარონ მოსწავლეებმა ისლამური თავსაბურავი და სხვა სამოსი ან სიმბოლოები, რომელთაც აქვთ რელიგიური დატვირთვა; რამადანის დასაწყისი და დასასრული ხშირად აღინიშნებოდა სკოლებში; რელიგიური ინსტრუქციები ნებადართული იყო ყველა აღიარებული რწმენისთვის; და უმცირესობის რწმენის მიმდევარ მოსწავლეთა მოთხოვნები ხშირად მიიღებოდა მხედველობაში, მაგალითად, ებრაელ მოსწავლეებს აქვთ უფლება არ გავიდნენ გამოცდებზე შაბათობით.

40. ბოლოს კი, მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ მშობელთა ინტერესების დაცვას, რომელთაც სურდათ ჯვარცმის არსებობა საკლასო ოთახებში. აღნიშნული წარმოადგენდა იტალიის უმრავლესობის სურვილს და ასევე გამოხატული იყო დემოკრატიულად სკოლების მმართველი ორგანოების თითქმის ყველა წევრის მიერ. ამ პირობებში საკლასო ოთახებიდან ჯვარცმის ჩამოხსნა იქნება 'უმცირესობის პოზიციის ბოროტად გამოყენება' და წინააღმდეგობაში მოვა სახელმწიფოს ვალდებულებასთან დაეხმარნონ კერძო პირებს მათი რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

2. მომჩივნები

41. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ ჯვარცმის გამოსახვა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, რომელშიც დადიოდნენ მეორე და მესამე მომჩივნები, წარმოადგენდა მათი აზრის და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებაში არაკანონიერ ჩარევას და ხელყოფდა საგანმანათლებლო პლურალიზმს, რადგან გამოხატავდა კონკრეტული რელიგიის მიმართ სახელმწიფოს გამოხატულ უპირატესობას იმ ადგილას, სადაც რწმენა ყალიბდებოდა. ამ უპირატესობით სახელმწიფო ასევე უგულვებელყოფდა მის ვალდებულებას დაეცვა არასრულწლოვნები ნებისმიერი ფორმის პროპაგანდის ან ინდოქტრინაციისგან. უფრო მეტიც, მომჩივანთა მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ საგანმანათლებლო გარემო მოცული იყო დომინანტი რელიგიის სიმბოლოთი, ჯვარცმის ხატის გამოსახვა ხელყოფდა მეორე და მესამე მომჩივანთა უფლებას მიეღოთ ღია და პლურალისტული განათლება, რომელიც მიზანმიმართული იყო კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისკენ. საბოლოოდ, იქიდან გამომდინარე, რომ პირველი მომჩივანი მხარს უჭერდა სეკულარიზმს, იგი ხელყოფდა მის უფლებას მიეწოდებინა მისი შვილებისთვის ისეთი განათლება, რომელიც შეესაბამებოდა მის ფილოსოფიურ რწმენას.

42. მომჩივანი დავობდა, რომ ჯვარცმის ხატი უდავოდ წარმოადგენდა რელიგიურ სიმბოლოს და იმის მცდელობა, რომ მისთვის მიეწერათ კულტურული ღირებულება, გავდა სასოწარკვეთილი დაცვის უზრუნველყოფის მცდელობას. იტალიის იურიდიულ სისტემაში არაფერი ადასტურებდა იმას, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ეროვნული იდენტობის სიმბოლოს: კონსტიტუციის მიხედვით, დროშა განასახიარებდა ეროვნულ ერთობას.

უფრო მეტიც, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მის 1995 წლის 16 მაისის განჩინებაში (იხილეთ ზემოთ 28-ე პარაგრაფი) იმას, რომ ჯვარცმის ხატისთვის საერო მნიშვნელობის მინიჭება მოაშორებდა მას საწყის მნიშვნელობას და აღუკვეთდა საკრალურ ფუნქციას. რაც შეეხება იმ მსჯელობას, რომ აღნიშნული იყო უბრალოდ `პასიური სიმბოლო`, აღნიშნული უარყოფს იმ ფაქტს, რომ სხვა სიმბოლოების მსგავსად – და უფრო მეტადაც ვიდრე სხვები – იგი შეიცავდა შემეცნებითი, ინტიუციური და ემოციური რეალობის გამოხატვის ფორმას, რომელიც იმაზე შორს მიდიოდა ვიდრე უეცარი აღქმადობა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობას ჰქონდა გამომსახველობითი ხასიათი და იგი წარმოადგენდა იმ რწმენის შინაარსს, რომელსაც განასახიერებდა და იყო `საჯარო მასალა` აღნიშნულისთვის. საბოლოოდ, მომჩივანმა მიუთითა, რომ 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებაში *Dahlab v. Switzerland* (N42393/98, ECHR 2001-V),

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

სასამართლომ აღნიშნა ის კონკრეტული შესაძლებლობა, რომელიც რელიგიურ სიმბოლოებს ჰქონდათ სასკოლო გარემოში.

43. მომჩივანთა მტკიცებით ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს აღმსარებლობის თავისუფლება, პლურალიზმი, რწმენათა თანაბარი მოპყრობა და დაწესებულებათა სეკულარული ხასიათი. სეკულარიზმის პრინციპი მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან ნეიტრალიტეტს, რომელიც რელიგიურ სფეროსგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და შეიმუშავოს ერთიანი მიდგომა ყველა სხვა რელიგიური მიმდინარეობების მიმართ. სხვა სიტყვებით, ნეიტრალიტეტი ავალდებულებდა სახელმწიფოს დაეარსებინა ნეიტრალური სივრცე, სადაც ყველას შეეძლებოდა ეცხოვრა თავიანთი რწმენის შესაბამისად. საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლოების, უფრო ზუსტად ჯვარცმის ხატის, წარმოდგენით, იტალიის სახელმწიფო აკეთებდა საწინააღმდეგოს.

44. მომჩივნების მიერ წარმოდგენილი მიდგომა სრულად განსხვავდებოდა სახელმწიფო ათეიზმისგან, რომელიც გულისხმობდა რელიგიის თავისუფლების უარყოფას სეკულარული მსოფლმხედველობის ავტორიტარული გზით თავს მოხვევით. სახელმწიფოს მიუკერძოებლობის და ნეიტრალიტეტის ჭრილში, სეკულარიზმი წარმოადგენდა საწინააღმდეგო საშუალებას, რათა გარანტირებულიყო რელიგიური და ფილოსოფიური აღმსარებლობის თავისუფლება ყველასთვის.

45. მომჩივანმა დამატებით აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო უმცირესობათა რწმენის და აღმსარებლობის დამატებითი დაცვა, რათა უზრუნველყოფილიყო 'უმრავლესობის დესპოტიზმისგან' თავდაცვა და აღნიშნული წარმოადგენდა ჯვარცმის ხატის საკლასო ოთახიდან ამოღების დამატებით საფუძველს.

46. მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის ხატის მოცილების შემთხვევაში მოხდებოდა იტალიური კულტურული იდენტობის ნაწილის მოშორებაც, დასკვნის სახით მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათი შენარჩუნება არ შეესაბამებოდა დასავლურ პოლიტიკურ აზროვნებას, ლიბერალური სახელმწიფოს, პლურალისტურ, ღია საზოგადოების და იტალიის კონსტიტუციაში და კონვენციაში გარანტირებული ინდივიდუალური უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფის პრინციპებს.

C. მესამე მხარეთა მოსაზრებები

1. სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის და სან მარინოს რესპუბლიკის მთავრობები

47. ერთობლივ მოსაზრებაში სომხეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, რუსეთის ფედერაციის, საბერძნეთის, ლიტვის, მალტის და სან მარინოს

რესპუბლიკის მთავრობებმა გამოხატეს თავიანთი შეხედულება პალატის დასაბუთებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნებოდა `ნიეტრალიტეტის` კონცეფციის არასწორ გაგებას და რაც პალატამ აურია `სეკულარიზმში`. მათ აღნიშნეს, რომ ევროპაში სახელმწიფოს და ეკლესიას შორის ურთიერთობის დივერსიფიცირებული მიდგომა არსებობს და ევროპის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობენ არასეკულარულ სახელმწიფოებში. მათ დაამატეს, რომ სახელმწიფო სიმბოლოებს აქვთ ნაგულისხმევი ადგილი სახელმწიფო განათლებაში და უმეტეს მათგანს აქვს რელიგიური საფუძველი, ჯვარი – რომელიც იყო ეროვნული და რელიგიური სიმბოლო – წარმოადგენს ყველაზე მკაფიო მაგალითს. მათი შეხედულებით, არასეკულარულ ევროპულ სახელმწიფოებში, საჯარო სივრცეში რელიგიური სიმბოლოების არსებობა ფართოდ იყო შეწყნარებული სეკულარული მოსახლეობის მიერ, როგორც მათი ეროვნული იდენტობის ნაწილი. სახელმწიფოებმა არ უნდა უარყონ მათი კულტურული იდენტობის ნაწილი იმ მიზეზით, რომ მათ აქვთ რელიგიური წარმოშობა. პალატის მიერ მიღებული პოზიცია არ წარმოადგენდა კონვენციური სისტემის პლურალისტულ გაცხადებას, არამედ, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს წარმოაჩენდა. მთლიან ევროპაზე აღნიშნულის გავრცელება იქნება ევროპის `ამერიკანიზაცია` ამ მიმართებით და ეკლესიის და სახელმწიფოს მკაცრი გამიჯვნა სავალდებულო იქნება ყველასთვის.

მათ მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ სეკულარიზმის მხარედაჭერა იყო პოლიტიკური პოზიცია, რომელიც, მნიშვნელობის მიუხედავად, არ იყო ნეიტრალური. შესაბამისად, საკლასო ოთახებში ჯვარცმის მოცილება, სადაც ისინი ყოველთვის იყვნენ განთავსებულები, არ იქნება შედეგებისგან თავისუფალი საგანმანათლებლო სფეროში. რეალობაში, იმის მიუხედავად სახელმწიფო ნებას რთავდა, თუ კრძალავდა ჯვარცმის საკლასო ოთახებში არსებობას, მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოველთვის იყო კურიკულუმის კონტექტუალიზაციის და ბავშვებისთვის ტოლერანტობის და პლურალიზმის სწავლების ხარისხი.

მესამე მხარე მთავრობებმა დაუშვეს, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები დაუშვებელი იყოს. მტკიცების ტვირთი უნდა დარჩეს ინდივიდებზე და სასამართლო უნდა ჩაერიოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში.

2. მონაკოს მთავრობა

48. მესამე მხარედ ჩართულმა მონაკოს მთავრობამ განაცხადა, რომ იზიარებდა მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციას, რომლის მიხედვითაც ჯვარცმა წარმოადგენდა `პასიურ სიმბოლოს`, რომელიც ბევრი სახელმწიფოს გერბზე და დროშაზე იყო გამოსახული და ამ შემთხვევაში გამოხატავდა ისტორიაში განმტკიცებულ ეროვნულ ერთობას. უფრო მეტიც, მისი განუყოფლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პრინციპი მოითხოვდა

ხელისუფლებისგან არ გამოეყენებინათ რელიგიური სიმბოლოები იქ, სადაც ისინი არასდროს იყვნენ და არ გაეუქმებინათ ისინი, რომლებიც ყოველთვის განთავსებულნი იყვნენ იქ.

3. რუმინეთის მთავრობა

49. მესამე მხარედ ჩართულმა სახელმწიფომ აღნიშნა, რომ პალატამ არ მიაქცია სათანადო ყურადღება წევრ სახელმწიფოთა ფართო შეფასების ზღვარს, რომელიც საკითხის სენსიტიურობის და ევროპის მასშტაბით კონსენსუსის არსებობის ფარგლებში მოქმედებდა. მათ აღნიშნეს, რომ სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოებს ჰქონდათ ფართო შეფასების ზღვარი სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების ტარებასთან დაკავშირებით; მათი მოსაზრების მიხედვით, იგივე უნდა გავრცელებულიყო ამგვარ სკოლებში რელიგიური სიმბოლოების გამოსახვასთან მიმართებით. მათ აღნიშნეს, რომ პალატის განჩინება ეფუძნებოდა იმას, რომ რელიგიური სიმბოლოების გამოსახვა საჯარო სკოლებში არღვევდა კონვენციის მე-9 მუხლს და პირველი ოქმის მეორე მუხლს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნეიტრალიტეტის პრინციპს, რადგან წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ ჩარეულიყვნენ სავალდებულოდ და მოეხინათ სიმბოლოების ამოღება. მათი მოსაზრებით, აღნიშნული პრინციპი უფრო უკეთ იყო დაცული, როცა აღნიშნული სახის გადაწყვეტილებები მიიღებოდა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მიერ ერთად. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული არ ასოცირდებოდა კონკრეტულ რელიგიურ ვალდებულებასთან, ნებისმიერ შემთხვევაში ჯვარცმის საკლასო ოთახში არსებობა არ ახდენდა შესაბამის პირთა რელიგიურ გრძნობებზე გავლენას იმგვარად, რომ მომხდარიყო ზემოაღნიშნული დებულებების დარღვევის დადგენა.

4. არასამთავრობო ორგანიზაცია საბერძნეთის ჰელსინკის მონიტორი

50. მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაციის მიხედვით, ჯვარცმას არ შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე სხვა დატვირთვა გარდა სიმბოლოურისა, შესაბამისად სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში მათი მოთავსება არ უნდა მიჩნეულიყო როგორც კონკრეტული რელიგიის ადვოკატირების გზავნილი. მათ მიუთითეს Fოლგერმ-ს საქმეზე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიურ აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობას შეეძლო გავლენა მოეხდინა მათზე და იმავდროულად იგივე მიდგომა გამოიყენა, როცა მათი სწავლება ხდებოდა ისეთ საკლასო ოთახებში, რომლებშიც რელიგიური სიმბოლო იყო გამოსახული. მათ ასევე მიაქციეს სასამართლოს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ბავშვები ან მშობლები, რომლებიც წუხდებოდნენ აღნიშნულით, შეიძლებოდა შეზღუდულიყვნენ გაპროტესტებისას რეპრესიების შიშით.

5. არასამთავრობო ორგანიზაცია Associazione nazionale del libero Pensiero

51. მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციამ, რომელმაც სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არსებობა მიიჩნია კონვენციის მე-9 მუხლთან და პირველი ოქმის მეორე მუხლთან შეუსაბამოდ, აღნიშნა, რომ მომჩივნების უფლებების მიმართ გამოყენებული შეზღუდვები არ იყო 'კანონით განსაზღვრული' სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესაბამისად. მათ მიუთითეს ამ მიმართებით, რომ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის წარმოდგენა განსაზღვრული იყო არა კანონით, არამედ, ფაშისტურ პერიოდში მიღებული რეგულაციით. მათ მიუთითეს, რომ აღნიშნული რეგულაციები ნებისმიერ შემთხვევაში ნაგულისხმევად გაუქმებული იყო 1947 წლის კონსტიტუციით და 1985 წლის კანონით, რომლითაც მოხდა 1929 წლის ლათერნალური პაქტების შეცვლის შეთანხმების რატიფიცირება. მათ აღნიშნეს, რომ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა ამგვარად 2000 წლის 1 მარტის განჩინებაში (#4273) მსგავს საქმეში, რომელიც შეეხებოდა ჯვარცმის გამოსახვას საარჩევნო უბანზე და აღნიშნული დადასტურდა სასამართლოს შენობებში ჯვარცმის წარმოდგენის შესახებ 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმის არსებითი განხილვის გარეშე). არსებობდა შესაბამისად კოლიზია *Consiglio di Stato* -სა – რომელმაც პირიქით დაადგინა, რომ შესაბამისი რეგულაციები გამოიყენებოდნენ – და საკასაციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკას შორის, რომელიც ახდენდა გავლენას სამართლებრივ უსაფრთხოებაზე, რაც წარმოადგენდა სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ქვაკუთხედს. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა იურიდიციის განხორციელებაზე, იტალიაში არ არსებობდა მექანიზმი, რომლითაც აღნიშნული კონფლიქტი გადაწყდებოდა.

6. არასამთავრობო ორგანიზაცია ევროპული ცენტრი სამართლისა და მართლმსაჯულებისთვის

52. მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ პალატა არასწორად მიუდგა საქმეში არსებულ საკითხს, რაც გულისხმობდა მხოლოდ იმის დადგენას, თუ რამდენად იყო დარღვეული პირველი მომჩივნის კონვენციური უფლებები საკლასო ოთახებში ჯვარცმის უბრალო წარმოდგენით. პირველ რიგში, პირველი მომჩივნის ბავშვების 'პირადი აღმსარებლობა' არ იყო დარღვეული, რადგან მათ არ ჰქონდათ ვალდებულება ემოქმედათ თავიანთი სინდისის საწინააღმდეგოდ ან ხელი არ ეშლებოდათ

მის შესაბამის მოქმედებაში. მეორეც, მათი `ულრმესი რწმენა` და პირველი მომჩივნის უფლება უზრუნველყო მათი განათლება საკუთარი ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად, არ იყო დარღვეული, რადგან მის შვილებს არ ავალდებულებდნენ ეწამათ ან ხელი შეშლოდათ რწმენის გარეშე ცხოვრებაში. ისინი არ ექვემდებარებოდნენ ინდოქტრინიზაციას და შეუსაბამო პროზელიტიზმს. მესამე მხარე ორგანიზაციამ განაცხადა, რომ პალატა შეცდა იმის დადგენისას, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილება, წარმოედგინა ჯვარცმა საკლასო ოთახებში, ეწინააღმდეგებოდა კონვენციას (რაც არ იყო მის წინაშე გადასაწყვეტი საკითხი). აღნიშნულის გადაწყვეტისას, პალატამ შექმნა `ახალი ვალდებულება, რომელიც არ შეეხებოდა პირველი მომჩივნის უფლებებს, არამედ, მომდინარეობდა `სასწავლო გარემოს` ბუნებიდან`. მესამე მხარე ორგანიზაციის განცხადებით, აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ მას არ შეეძლო დაედგინა პირველი მომჩივნის შვილების `ულრმესი ან პირადი რწმენის` დარღვევა საკლასო ოთახებში ჯვარცმის წარმოდგენით და რომ სასამართლომ შექმნა ახალი ვალდებულება, რათა უზრუნველყო საგანმანათლებლო გარემოს სრული სეკულარიზაცია, შესაბამისად იგი გასცდა განაცხადის და მისი იურისდიქციის ფარგლებს.

7. არასამთავრობო ორგანიზაცია Eurojuris

53. მესამე მხარედ ჩართული ორგანიზაცია დაეთანხმა პალატის დასკვნებს. იტალიური პოზიტიური სამართლის შესაბამისი დებულებების წარმოდგენის შემდეგ – და სეკულარიზმის პრინციპის კონსტიტუციური ღირებულების ხაზგასმით – მათ მიუთითეს სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც სკოლა არ უნდა იყოს პროზელიტიზმის ან ქადაგების ადგილი. მათ ასევე მიუთითეს საქმეებზე, სადაც სასამართლომ განიხილა ისლამური ჩადრის ტარების საკითხი სასწავლო დაწესებულებებში. მათ აღნიშნეს, რომ იტალიური სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობა იყო არა კანონით განსაზღვრული, არამედ, ფაშისტური პერიოდის დროინდელი რეგულაციით, რომელიც დღესდღეისობით გამოხატავს სახელმწიფოს კონფესიურ კონცეფციას, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება სეკულარიზმის პრინციპს, რომელიც განსაზღვრულია პოზიტიურ კონსტიტუციურ სამართალში. მათ მკაფიოდ უარყვეს იტალიის ადმინისტრაციული სასამართლოს დასაბუთება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობა კვლავ შეესაბამებოდა ამ პრინციპს, რადგან ისინი განასახიერებდნენ სეკულარულ ღირებულებებს. მათ მოსაზრებაში, აღნიშნული მიჩნეულ იქნა რელიგიურ სიმბოლოდ, რომელსაც არაქრისტიანები არ აღიარებდნენ. უფრო მეტიც, სკოლების დავალდებულებით, განათავსონ სახელმწიფო სკოლის

საკლასო ოთახებში აღნიშნული, სახელმწიფო აქცევდა განსაკუთრებული რეგულაციის საგნად კონკრეტულ რელიგიას, პლურალიზმის საზიანოდ.

8. არასამთავრობო ორგანიზაციები *International Commission of Jurists, Interights and Human Rights Watch*

54. მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს, რომ რელიგიური სიმბოლოების, როგორცაა ჯვარცმა, სავალდებულო წარდგენა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში არ შეესაბამებოდა ნეიტრალიტეტის პრინციპს და მოსწავლეთა და მშობელთათვის კონვენციის მე-9 მუხლში და პირველი ოქმის მეორე მუხლში გარანტირებულ უფლებებს. მათ მოსაზრებაში, საგანმანათლებლო პლურალიზმი იქნა მიჩნეული ჩამოყალიბებულ პრინციპად, რომელიც მხარდაჭერილი იყო არამხოლოდ სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით, არამედ, ასევე რამდენიმე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებითაც და სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით. უფრო მეტიც, სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა მხარს უჭერდა სახელმწიფო სამსახურში რელიგიურ რწმენათა შორის ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის ვალდებულებას, მათ შორის განათლების სფეროშიც. მათ აღნიშნეს, რომ მიუკერძოებლობის პრინციპი აღიარებული იყო არამხოლოდ იტალიის, ესპანეთის და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოთა მიერ, არამედ, ასევე ფრანგული ჩონსეილ დ'ეტატ-ს და შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს მიერ. მათ დაამატეს, რომ რამდენიმე უზენაესი სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი საკლასო ოთახებში სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულების შესახებ, რადგან სკოლა სავალდებულოა და ბავშვები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს. მათ გაიმეორეს სასამართლოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც კონვენცია არ უკრძალავს სახელმწიფოებს რელიგიური ან ფილოსოფიური ინფორმაციის ან ცოდნის სწავლებას ან განათლებას, მაგრამ უნდა იქნას უზრუნველყოფილი აღნიშნულის ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული სახით წარმოდგენა, ინდოქტრინიზაციის გარეშე. მათ აღნიშნეს, რომ იგივე ვრცელდებოდა განათლების ან სწავლების სფეროში განხორციელებულ ნებისმიერ ფუნქციებზე, მათ შორის სასკოლო გარემოს ორგანიზებაზე.

9. არასამთავრობო ორგანიზაციები *Zentralkomitee der deutschen katholiken, Semaines sociales de France and Associazioni cristiane lavoratori italiani*

55. მესამე მხარედ ჩართულმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებოდნენ პალატას, რომ მიუხედავად ჯვარცმის მრავალფუნქციური დატვირთვისა, ის ძირითადად წარმოადგენდა ქრისტიანობის სიმბოლოს. მაგრამ მათ დაამატეს, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ სასამართლოს დასკვნას

და ძნელად გასაგებად მიიჩნევდნენ იმას, თუ რამდენად შეეძლო მოსწავლეთა `ემოციური შევიწროება` და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაში ხელშეშლა ჯვარცმის საკლასო ოთახებში არსებობას. მათ მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ უბრალო არსებობა არ უნდა გაუთანაბრდეს რელიგიურ ან ფილოსოფიურ მესიჯს; ის უნდა იქნას განმარტებული, როგორც ძირითადი მორალური ღირებულებების პასიური მატარებელი. შესაბამისად, საკითხი უნდა იქნას მიჩნეული სახელმწიფოს კომპეტენციის ფარგლებში, როცა ხდება სკოლებში კურიკულუმის შედგენა; მშობლებმა უნდა გაითავისონ, რომ სახელმწიფო სკოლის გარკვეული ასპექტები შეიძლება სრულად არ იყოს შესაბამისი მათ რწმენასთან. მათ დაამატეს, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილება გამოსახონ ჯვარცმა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში არ ნიშნავდა იმას, რომ იგი მიზნად ისახავდა პირველი ოქმის მეორე მუხლით აკრძალული ინდოქტრინიზაციის მიზანს. მათი მოსაზრებით ამ საქმეში უნდა ყოფილიყო ბალანსი დაცული მორწმუნეთა და არამორწმუნეთა, ინდივიდთა ფუნდამენტურ უფლებებსა და საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესებს და ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ სტანდარტების ფორმულირებას და ევროპაში არსებული დივერსიფიკაციის შენარჩუნებას შორის. მათ მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ სასამართლომ უნდა დაუტოვოს სახელმწიფოებს ფართო შეფასების ზღვარი ამ სფეროში, რადგან სახელმწიფოს და რელიგიას შორის ურთიერთობის ორგანიზაცია განსხვავდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოში და – უფრო კონკრეტულად სახელმწიფო სკოლებში რელიგიის როლთან დაკავშირებით – იყო ღრმად გამჭდარი ქვეყნის ისტორიაში, ტრადიციაში და კულტურაში.

10. კოლექტიურად მოქმედი ევროპარლამენტის სამი წევრი

56. მესამე მხარეებმა მიუთითეს, რომ სასამართლო არ წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს და უნდა დაეცვა სუბსიდიარულობის პრინციპი და ელიარებინა წევრ სახელმწიფოთა სასარგებლოდ ფართო შეფასების ზღვარი არამხოლოდ სახელმწიფოს და რელიგიას შორის ურთიერთობისას, არამედ ასევე როცა სახელმწიფოები ახორციელებდნენ მათ ფუნქციებს საგანმანათლებლო და სასწავლო სფეროში. მათი მოსაზრებით, დიდი პალატის მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებით, რომლითაც მოხდება ჯვარცმის საკლასო ოთახებიდან მოხსნა, განხორციელდება რადიკალური იდეოლოგიური შეტყობინების გაგზავნა. მათ დაამატეს, რომ სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკიდან ნათელი იყო, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ისტორიიდან ან ტრადიციებიდან მომდინარე მიზნებიდან გამომდინარე ავლენდნენ კონკრეტული რელიგიისადმი უპირატესობის გამოხატვას, არ ლახავდნენ ამ საზღვრს. შესაბამისად, მათი მოსაზრებით, საჯარო შენობებში ჯვარცმის გამოხატვა არ მოდიოდა წინააღმდეგობაში კონვენციასთან და საჯარო სივრცეში რელიგიური სიმბოლოების წარმოდგენა

არ უნდა ყოფილიყო განხილული, როგორც ინდოქტრინიზაციის ფორმა, არამედ, როგორც კულტურული ერთობის და იდენტობის გამოხატვა. მათ დაამატეს, რომ ამ სპეციალურ კონტექსტში რელიგიურ სიმბოლოებს ჰქონდათ სეკულარული მნიშვნელობა და შესაბამისად, არ უნდა მომხდარიყო მათი ჩამოხსნა.

D. სასამართლოს შეფასება

57. პირველ რიგში, სასამართლოს უთითებს, რომ მის წინაშე არსებული ერთადერთი საკითხი შეეხება იტალიურ სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის ხატის წარმოდგენის შესაბამისობას კონვენციის პირველი ოქმის მეორე მუხლთან და კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, ამ საქმის გარემოებების ფონზე.

შესაბამისად, სასამართლოს არ აქვს ვალდებულება განიხილოს ჯვარცმის არსებობის საკითხი საჯარო სკოლის ფარგლებს გარეთ. სასამართლო ასევე ვერ განიხილავს საჯარო სკოლებში ჯვარცმის არსებობის საკითხის შესაბამისობას იტალიურ სამართალში განსაზღვრულ სეკულარიზმის პრინციპთან.

58. მეორეც, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სეკულარიზმის მიმდევრებს შეუძლიათ წარადგინონ მოთხოვნა იმ შეხედულებების გარშემო, რომელიც აღწევს `დამაჯერებობის, სერიოზულობის, ერთობის და მნიშვნელობის დონეს`, რაც აუცილებელია მათი `რწმენად` მიჩნევისთვის კონვენციის მეცხრე მუხლის და პირველი ოქმის მეორე მუხლის შესაბამისად (იხილეთ, *Campbell and Cosans v. the United Kingdom*, 1982 წლის 25 თებერვალი, § 36, N. 48). უფრო კონკრეტულად, მათი შეხედულებები უნდა იქნას მიჩნეული `ფილოსოფიურ რწმენად`, პირველი ოქმის მეორე მუხლის შესაბამისად, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ისინი იმსახურებენ `მხარდაჭერას` `დემოკრატიულ საზოგადოებაში`, არ არიან შეუთავსებელი ადამიანის ღირსებასთან და არ ეწინააღმდეგებიან ბავშვთა განათლების ფუნდამენტურ უფლებას (იქვე).

1. პირველი მომჩივნის საქმე

ა. ზოგადი პრინციპები

59. სასამართლო იმეორებს, რომ განათლების და სწავლების სფეროში პირველი ოქმის მეორე მუხლი წარმოადგენს კონვენციის მე-9 მუხლის *lex specialis* -ს. აღნიშნული ამგვარადაა მინიმუმ იმ შემთხვევაში, როცა დავა შეეხება წევრ სახელმწიფოსთვის მეორე მუხლის მეორე წინადადებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, რაც გამოიხატება მშობელთათვის მათი უფლების განხორციელების შესაძლებლობის მიცემაში, უზრუნველყონ მათი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად

განათლება და სწავლება (იხილეთ, *Folgerø and Others v. Norway* N 15472/02, § 84, 2007 VIII, § 84).

შესაბამისად, საჩივარი ძირითადად უნდა იქნას განხილული პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინადადების თვალსაზრისით (იხილეთ ასევე, *Appel-Irrgang and Others v. Germany* (dec.), no. 45216/07, ECHR 2009...)

60. ამის მიუხედავად, აღნიშნული დებულება უნდა იქნას წაკითხული არამხოლოდ იმავე მუხლის პირველი წინადადების ფონზე, არამედ, ასევე კონვენციის მე-9 მუხლის ჭრილში (იხილეთ, მაგალითად *Folgerø*, ციტირებულია ზემოთ, § 84), რომელიც ადგენს აზრის, აღმსარებლობის და რელიგიის თავისუფლების გარანტიას, მათ შორის თავისუფლებას არ მიეკუთვნებოდე არცერთ რელიგიას და რომელიც წევრ სახელმწიფოებს აკისრებს `ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის დაცვის ვალდებულებას`.

ამ მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს აქვთ სხვადასხვა რელიგიების, რწმენის და მრწამსის განხორციელებისას ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება. აღნიშნული როლი მიზნად ისახავს საჯარო წესრიგის უზრუნველყოფას, რელიგიურ ჰარმონიას და მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის ტოლერანტულობის უზრუნველყოფას დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხილეთ, მაგალითად *Leyla Şahin v. Turkey* [GC], no. 44774/98, § 107, ECHR 2005-XI). აღნიშნული შეეხება მორწმუნეთა და არამორწმუნეთა და სხვადასხვა რელიგიათა, რწმენათა ან მრწამსთა მიმდევრებს შორის ურთიერთობებს.

61. სიტყვა `პატივისცემა` პირველი ოქმის მეორე მუხლში გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე `გაცნობიერება` ან `მხედველობაში მიღება`; ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, იგი ასევე გულისხმობს გარკვეულ პოზიტიურ პასუხისმგებლობასაც სახელმწიფოს მხრიდან (იხილეთ *Campbell and Cosans* ციტირებულია ზემოთ, § 37).

ამის მიუხედავად, `პატივისცემის` მნიშვნელობის მოთხოვნა, რომელიც ასევე გვხვდება კონვენციის მე-8 მუხლში, განსხვავდება ყოველ კონკრეტულ საქმეში, განსხვავებული პრაქტიკიდან და წევრ სახელმწიფოებში წარმოშობილი სიტუაციებიდან გამომდინარე. შედეგად წევრ სახელმწიფოებს აქვთ ფართო შეფასების ზღვარი იმისთვის, რომ უზრუნველყონ კონვენციასთან შესაბამისობა საზოგადოების და ინდივიდის საჭიროებების და რესურსების მხედველობაში მიღებით. პირველი ოქმის მეორე მუხლის კონტექსტის მიხედვით, აღნიშნული კონცეფცია ნაგულისხმევად გულისხმობს, რომ ამ დებულების იმგვარი ინტერპრეტაცია არ დაიშვება, რომლის მიხედვითაც მშობლებს შეეძლებათ მოთხოვონ სახელმწიფოს კონკრეტული სახის განათლების მიღება (იხილეთ *Bulski v. Poland* (dec.), N 46254/99 და 31888/02).

46. სასამართლო ასევე აღნიშნავს მის სამართალწარმოების პრაქტიკას სკოლის კურიკულუმში რელიგიის როლთან დაკავშირებით (ძირითადად იხილეთ, *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark* 1976 წლის 7 დეკემბერი

§§ 50-53, N 23; *Folgerø*, ციტირებულია ზემოთ § 84; და *Hasan and Eylem Zengin v. Turkey*, N 1448/04, §§ 51 და 52, 2007 XI).

ამ გადაწყვეტილებათა მიხედვით, კურიკულუმის შედგენა და დაგეგმვა ექცევა წევრ სახელმწიფოთა კომპეტენციაში. აღნიშნული სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხი არ არის, რადგან ამგვარი რეგულირებები ადგილის და დროის მიხედვით შეიძლება იყოს განსხვავებული.

უფრო კონკრეტულად პირველი ოქმის მეორე მუხლი არ უკრძალავს სახელმწიფოებს გამოიყენონ სწავლისას ან საგანმანათლებლო პროცესში პირდაპირ ან არაპირდაპირ რელიგიური ან ფილოსოფიური სახის ინფორმაცია ან ცოდნა. აღნიშნული ასევე არ აძლევს მშობლებს უფლებას გააპროტესტონ ამგვარი სწავლების ან პროგრამის მოქცევა სკოლის კურიკულუმში.

მეორეს მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ მისი მიზანია დაიცვას საგანმანათლებლო პროცესში პლურალიზმის შესაძლებლობა, სწავლებისას და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისას იგი ავალდებულებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ კურიკულუმში არსებული ინფორმაცია ან ცოდნა გადმოსცენ ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტული სახით, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს განავითარონ კრიტიკული აზროვნება განსაკუთრებით რელიგიის მიმართ მშვიდ გარემოში, ყოველგვარი პროზელიტიზმის გარეშე. სახელმწიფოს ეკრძალება განახორციელოს იმგვარი ინდოქტრინიზაციის მიზნის განხორციელება, რომელიც არ ახდენს მშობელთა რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის გათვალისწინებას. აღნიშნული წარმოადგენს ზღვარს, რომელიც სახელმწიფოებმა არ უნდა გადალახონ (იხილეთ ამ პარაგრაფში ზემოთ ციტირებული განჩინებები პპ. 53, 84 (3) და 52-ე შესაბამისად).

ბ. საქმის გარემოებების შეფასება ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად

63. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის იმ არგუმენტს, რომ პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინადადებაში განსაზღვრული წევრ სახელმწიფოთა ვალდებულება ეხება მხოლოდ სკოლის კურიკულუმის შინაარსს და შესაბამისად სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის არსებობა არ ექცევა მის რეგულირების სფეროში.

მართლაც, რამდენიმე საქმე, რომელიც განიხილა სასამართლომ ამ მუხლთან დაკავშირებით, შეეხებოდა სკოლის კურიკულუმის შინაარსს და მის იმპლემენტაციას. მიუხედავად ამისა, როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა, წევრ სახელმწიფოთა ვალდებულება პატივი სცენ მშობელთა რელიგიურ და ფილოსოფიურ აღმსარებლობას არ ვრცელდება მხოლოდ სწავლების შინაარსზე და მის ფორმაზე; იგი ავალდებულებს მათ ყველა `ფუნქციის` – პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინადადების შინაარსით – `განხორციელების პროცესში`, რომელიც განათლების ან სწავლების მიზნით

იქნება მიღებული (ძირითადად იხილეთ, *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, ზემოხსენებული საქმე, § 50; *Valsamis v. Greece*, 1996 წელის 18 დეკემბერი, § 27, 1996 VI; *Hasan and Eylem Zengin*, ციტირებულია ზემოთ, § 49; *Folgerø* ციტირებულია ზემოთ § 84). აღნიშნული უდავოდ მოიცავს სასკოლო გარემოს ორგანიზებას, როცა ეროვნული სამართალი აღნიშნულ უფლებას გადასცემს საჯარო ხელისუფლებას.

ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული იტალიის სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის განთავსება (იხილეთ, 1924 წლის 30 აპრილის #965 სამეფო დეკრეტის 118-ე მუხლი, 1928 წლის 26 აპრილის #1297 წლის სამეფო დეკრეტის 119-ე მუხლი და 1994 წლის 16 აპრილის #297 საკანონმდებლო დეკრეტის 159-ე და 190-ე მუხლები).

64. ზოგადად, სასამართლო მიიჩნევს, რომ როცა სასკოლო გარემოს ორგანიზაცია წარმოადგენს საჯარო მმართველობის საგანს, აღნიშნული უფლებამოსილება უნდა იქნას განხილული, როგორც სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო ან სასწავლო მიზნით განხორციელებული ფუნქცია, პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინდადების შესაბამისად.

65. შედეგად ის გადაწყვეტილება, უნდა განთავსდეს თუ არა ჯვარცმა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, წარმოადგენს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო და სასწავლო მიზნებისთვის აღებული ფუნქციათა ნაწილს, რომელიც ექცევა პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინდადების შინაარსის ქვეშ. აღნიშნული მოცულია იმ სფეროთი, სადაც სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მშობელთა უფლება, მათი რელიგიისა და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად, შვილებისთვის საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის შესახებ.

66. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ჯვარცმა ყველაზე მეტად არის რელიგიური სიმბოლო. ეროვნული სასამართლოები მივიდნენ ამ დასკვნამდე და არც მთავრობას გაუხდია სადავოდ აღნიშნული. ის საკითხი, შეიცავს თუ არა ჯვარცმა სხვა დამატებით მნიშვნელობას გარდა რელიგიურისა, არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სასამართლოს დასაბუთების ამ ეტაპისთვის.

არ არსებობს მტკიცებულება სასამართლოს წინაშე, რომ რელიგიური სიმბოლოების საკლასო ოთახების კედლებზე განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლეებზე და შესაბამისად არ შეიძლება იმის ზუსტი დადგენა, ექნება თუ არა მას გავლენა იმ ახალგაზრდა პირებზე, რომელთა აღმსარებლობაც ფორმირების პროცესშია.

მიუხედავად ამისა, გასაგებია რომ პირველმა მომჩივანმა შეიძლება აღიქვას სახელმწიფო სკოლების – რომელშიც მისი შვილები დადიოდნენ – საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახვა სახელმწიფოს მხრიდან გამოხატულ უპატივცემულობად, მისი უფლების მიმართ განახორციელოს შვილების განათლება და სწავლება მისი ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად. აღნიშნულის მიუხედავად, მომჩივნის სუბიექტური შეხედულება არ არის

საკმარისი, რათა დადგინდეს პირველი ოქმის მეორე მუხლის დარღვევის დადგენა.

67. თავის მხრივ მთავრობამ ახსნა, რომ ჯვარცმის სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში განთავსება, წარმოადგენდა იტალიის ისტორიული განვითარების შედეგს; ფაქტი, რომელიც მას სძენს არამხოლოდ რელიგიურ დატვირთვას, არამედ, ასევე იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელობასაც, რომელიც ეხლა გამოხატულია ტრადიციაში და რომლის დაცვასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მათ დაამატეს, რომ მათი რელიგიური მნიშვნელობის გარდა, ჯვარცმა განასახიერებდა დემოკრატიის და დასავლური ცივილიზაციის საფუძვლების პრინციპებს და ღირებულებებს და მისი საკლასო ოთახში არსებობა გამართლებული იყო აღნიშნულით.

68. სასამართლო იზიარებს, რომ ის გადაწყვეტილება, უნდა იქნას თუ არა ტრადიცია დაცული, ექცევა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების საზღვრებში. დამატებით სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ევროპა შედგება მრავალფეროვანი სახელმწიფოებისგან, განსაკუთრებით კულტურული და ისტორიული განვითარების სფეროში. ასევე აღსანიშნავია, რომ ტრადიციაზე მითითება არ ათავისუფლებს წევრ სახელმწიფოს მისი ვალდებულებისგან უზრუნველყოს კონვენციაში და მის ოქმებში განსაზღვრული უფლებების დაცვა.

რაც შეეხება მთავრობის მოსაზრებას ჯვარცმის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ *Consiglio di Stato* -ს და საკასაციო სასამართლოს ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრებები ამ მიმართებით და საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხილავს საკითხი (იხილეთ ზემოთ მე-16 და 23-ე პარაგრაფები). სასამართლოს ვალდებულებას არ წარმოადგენს პოზიციის გამოხატვა ეროვნულ სასამართლოთა შორის დავაზე.

69. ფაქტად რჩება ის, რომ წევრ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ზღვარი მათ მოქმედებებში, თანხვედრაში მოიყვანონ მათ მიერ დასახული საგანმანათლებლო და სასწავლო ფუნქციების შესრულება მშობელთა უფლებასთან, განახორციელოს განათლება და სწავლა მისი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად (იხილეთ ზემოთ 61-62-ე პარაგრაფები). აღნიშნული ვრცელდება სკოლის გარემოს ორგანიზებაზე და კურიკულუმის შედგენასა და დაგეგმვაზე (როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა: ძირითადად იხილეთ ზემოთ ციტირებული განჩინებები: *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen*, §§ 50-53; *Folgerø*, § 84; და *Zengin*, §§ 51-52; 62-ე პარაგრაფი ზემოთ). შესაბამისად სასამართლომ აქვს ვალდებულება პატივი სცეს წევრ სახელმწიფოს გადაწყვეტილებას ამ საკითხებში, მათ შორის ადგილის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელსაც ისინი ანიჭებენ რელიგიას, იმ გაგებით, რომ ეს გადაწყვეტილებები არ იწვევენ ინდოქტრინიზაციის ფორმას (იქვე).

70. სასამართლო ასკვნის, რომ ამ საქმეში ის საკითხი, უნდა იყოს თუ არა ჯვარცმა განთავსებული სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში, ექცევა მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების საზღვრებში. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ

არ არსებობს ევროპული კონსენსუსი სახელმწიფო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების წარმოდგენასთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოთ 26-28-ე პარაგრაფები), ამ მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ზღვარი ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას (იხილეთ, მაგალითად, *mutatis mutandis, Leyla Şahin*, ციტირებულია ზემოთ, N 110), სასამართლოს როლი ამ საქმეში გულისხმობს 69-ე პარაგრაფში განსაზღვრული საზღვრების გადალახვის შემოწმებას.

71. მართლაც ამ მიმართებით, სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის ნიშანი, რომელსაც მისი შესაძლო სეკულარული ღირებულებისა, აქვს უდავო კორელაცია ქრისტიანობასთან – წარმოდგენის შესახებ რეგულაცია პირობადადებულია სასკოლო გარემოში ქვეყნის უმრავლესობაში გაბატონებული რელიგიის წარმოჩენით.

აღნიშნული ცალკე აღებული, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიეწეროს ინდოქტრინიზაციის პროცესის განხორციელება და პირველი ოქმის მეორე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის დადგინდეს.

სასამართლო ამ მიმართებით უთითებს, *mutatis mutandis*, დის, ზემოხსენებულ *Folgerø* -ს და *Zengin* -ის განჩინებებს. *Folgerø* -ს საქმეში, სადაც სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა `ქრისტიანობის, რელიგიის და ფილოსოფიის` (KRL) გაკვეთილების შინაარსი, მიჩნეულ იქნა, რომ სილაბუსში ქრისტიანული რელიგიის ცოდნისთვის დათმობილი უფრო მეტი ნაწილი, ვიდრე სხვა რელიგიებისთვის და ფილოსოფიებისთვის, არ შეიძლება მიჩნეულიყო როგორც პლურალიზმის პრინციპისგან გადახვევა და ობიექტური ინდოქტრინიზაცია. აღნიშნულ იქნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს – ნორვეგიის – ისტორიასა და ტრადიციებში ქრისტიანობის განსაკუთრებული როლის გამო აღნიშნული საკითხი ექცეოდა კურიკულუმის დაგეგმვის და შედგენისთვის არსებულ შეფასების ზღვარში (იხილეთ, *Folgerø* ციტირებულია ზემოთ, \$ 89). იგივენაირი დასკვნა იქნა გამოტანილი თურქეთის სკოლებში `რელიგიის, კულტურის და ეთიკის` კლასების კონტექსტში, სადაც სილაბუსი ანიჭებდა დიდ უპირატესობას ისლამის ცოდნას, რადგან, ქვეყნის სეკულარული ბუნების მიუხედავად, ისლამი იყო უმრავლესობის რელიგია თურქეთში (იხილეთ, *Zengin*, ციტირებულია ზემოთ, 63)

72. გარდა ამისა, ჯვარცმა კედელზე წარმოდგენს ძირითადად პასიურ სიმბოლოს და სასამართლოს აზრით, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე (იხილეთ მე-60 პარაგრაფი ზემოთ). მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა მოსწავლეებზე იმგვარი გავლენა, როგორც აქვს დიდაქტიკურ გამოსვლას ან რელიგიურ აქტივობებში მონაწილეობას (ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ *Folgerø* და *Zengin*, ციტირებულია ზემოთ, 94 და 64 შესაბამისად).

73. სასამართლო აღნიშნავს, რომ მის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინებაში, პალატა დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ ჯვარცმის წარმოდგენა საკლასო ოთახებში იქონიებდა საგრძნობ გავლენას მეორე და მესამე მომჩივნებზე,

რომლებიც იმ დროისთვის 11 და 13 წლისანი იყვნენ. პალატამ დაადგინა, რომ საჯარო განათლების კონტექსტში, ჯვარცმა, რომლის შეუმჩნეველობაც კლასში შეუძლებელი იყო, წარმოადგენდა სასკოლო გარემოს აუცილებელ ნაწილს და შეიძლება შესაბამისად მიჩნეულიყო `ძლიერ გარე სიმბოლოდ`, ზემოხსენებული *Dahlab* -ის გადაწყვეტილების შესაბამისად (იხილეთ განჩინების პპ. 54 და 55).

დიდი პალატა არ ეთანხმება ამ მიდგომას. მას მიაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს საფუძველი ამ საქმისთვის, რადგან ისინი სრულად განსხვავებულნი არიან.

სასამართლო უთითებს, რომ *Dahlab* -ი შეეხებოდა ღონისძიებას, რომელიც უკრძალავდა მომჩივანს ისლამური ჩადრის ტარებას სასწავლოს პროცესში, რაც მიზანმიმართული იყო მოსწავლეთა და მათი მშობლების რელიგიური გრძნობების და სკოლების კონფესიური ნეიტრალისტეტის პრინციპის დაცვისკენ, რომელიც, თავის მხრივ, ეროვნულ სამართალში იყო განსაზღვრული. იმის დადგენის შემდეგ, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ სრულად იყო შეფასებული საპირისპირო ინტერესები, სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ არ გადაამატა შეფასების ზღვარს, იმ ბავშვების მგრძნობიარე ასაკის მხედველობაში მიღებით, რომლებზეც მომჩივანი იყო პასუხისმგებელი.

74. დამატებით, ჯვარცმის სკოლებში წარმოდგენით ქრისტიანობის შესახებ ფართო აღქმადობა, უნდა იქნას შეფასებული შემდეგი საკითხების მხედველობაში მიღებით. პირველ რიგში, ჯვარცმის არსებობა არ ასოცირდება ქრისტიანობის სავალდებულო სწავლასთან (იხილეთ შედარებით-სამართლებრივი ინფორმაცია წარმოდგენილი *Zengin* -ის საქმეში, ციტირებულია ზემოთ, პ. 33). მეორეც, მთავრობის მიერ წარმოდგენილი მითითებებით დგინდება, რომ პარალელურად იტალია სასკოლო გარემოს კარს უღებს სხვა რელიგიებსაც. მთავრობამ აღნიშნა, რომ ამ მიმართებით არ არის აკრძალული მოსწავლეთათვის ისლამური ჩადრების, სხვა სიმბოლოების ან ტანსაცმლის ტარება, რომელთაც აქვთ რელიგიური დატვირთვა; ალტერნატიული ღონისძიებები ასევე დაშვებული იყო, რათა უზრუნველყოფილიყო უმცირესობის რელიგიური ღონისძიებების განხორციელება სასკოლო გარემოში; რამადანის დასაწყისი `ხშირად აღინიშნებოდა` სკოლებში; და არჩევითი რელიგიური განათლება შეიძლებოდა ორგანიზებულიყო სკოლაში `ყველა აღიარებული რელიგიური მრწამსისთვის` (იხილეთ ზემოთ 39-ე პარაგრაფი). არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომ ხელისუფლება იყო არატოლერანტური სხვა მოსწავლეთა მიმართ, რომელთაც სხვა რელიგია სწამდათ, წარმოადგენდნენ არამორწმუნეებს ან რომელთაც გააჩნდათ არერელიგიური ფილოსოფიური რწმენა.

დამატებით, მომჩივნებს არ აღუნიშნავთ, რომ საკლასო ოთახში ჯვარცმის არსებობა ხელს უწყობდა პროზელიტური ტენდენციის მქონე სასწავლო პრაქტიკის განვითარებას ან მოთხოვნას, რომ მეორე და მესამე მომჩივნებმა

როდესმე განიცადეს ტენდეციური მითითება მასწავლების მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

75. საბოლოოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი მომჩივანი, როგორც მშობელი, ინარჩუნებდა იმის სრულ უფლებას, რომ გაენათლებინა და რჩევა მიეცა მისი შვილებისთვის, რათა განეხორციელებინა ამ მიმართებით მისი ბუნებრივი ფუნქციები, როგორც განმანათლებლის და მისი ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად ეტარებინა ისინი (იხილეთ, კონკრეტულად *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen and Valsamis* ციტირებულია ზემოთ, კპ. 54 და 31 შესაბამისად).

76. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ჯვარცმის წარმოდგენისას იმ სკოლაში, სადაც პირველი მომჩივნის შვილები დადიოდნენ, ხელისუფლება მოქმედებდა სახელმწიფოს შეფასების საზღვრებში იმ კონტექსტში, რომელიც მათ გადაცემული აქვთ იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც არსებობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული ფუნქციების უზრუნველსაყოფისას მშობელთა უფლებების დაცვისთვის, რათა განათლება და სწავლება წარიმართოს ამ უკანასკნელთა რელიგიური და ფილოსოფიური რწმენის შესაბამისად.

77. სასამართლო შესაბამისად ასკვნის, რომ ადგილი არ ჰქონია პირველი ოქმის მეორე მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას პირველ მომჩივანთან მიმართებით. დამატებით აღნიშნავს, რომ არ წარმოიშობა ცალკე აღებული საკითხი კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით.

2. მეორე და მესამე მომჩივნების საქმე

78. სასამართლო მიიჩნევს, პირველი ოქმის მეორე მუხლის პირველი წინადადება, კონვენციის მე-9 მუხლთან და პირველი ოქმის მეორე მუხლის მეორე წინადადებასთან ერთობლიობაში წაკითხვით, როგორც ეს აუცილებელია, ადგენს სკოლის მოსწავლეთათვის განათლების მიღების ფორმას იმ სახით, რომელიც მათი რწმენის ან ურწმუნოების უფლებას შეესაბამება. შესაბამისად, გასაგებია ის, თუ რატო მიაჩნიათ სეკულარიზმის მხარდამჭერ მოსწავლეებს მათ უფლებებში ჩარევად სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახში ჯვარცმის არსებობა.

მაგრამ, სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ მიზეზების მხედველობაში მიღებით, რომლებიც წარმოდგენილ იქნა პირველი მომჩივნის საქმესთან მიმართებით, ადგილი არ ჰქონია პირველი ოქმის მეორე მუხლის დარღვევას მეორე და მესამე მომჩივნებთან მიმართებით. დამატებით აღნიშნავს, რომ არ წარმოიშობა ცალკე აღებული საკითხი კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით.

II. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

79. მომჩივნების აზრით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მეორე და მესამე მომჩივნების სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახში გაკრული იყო ჯვარცმა, ხოლო სამივე მათგანი არ იყვნენ კათოლიკეები, ისინი დაექვემდებარნენ დისკრიმინაციულ მოპყრობას კათოლიკე მშობლებსა და ბავშვებთან შედარებით. იმის მტკიცებით, რომ `კონვენციის მეცხრე მუხლში და პირველი ოქმის მეორე მუხლში განსზღვრული პრინციპები განმტკიცებულია კონვენციის მე-14 მუხლის დებულებით`, ისინი აცხადებდნენ ამ უკანასკნელი მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც:

`ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.”

80. პალატამ დაადგინა, რომ საქმის გარემოებების და იმ მოტივაციის მხედველობაში მიღების შემდეგ, რომლითაც დადგენილ იქნა პირველი ოქმის მეორე მუხლის დარღვევა კონვენციის მე-9 მუხლთან ერთობლიობაში, არ არსებობდა ცალკე აღებული მე-14 მუხლის შესაბამისად ან ზემოაღნიშნულ დებულებებთან ერთად საქმის შემოწმების მიზეზი.

81. სასამართლო, რომლის წინაშეც მცირე ოდენობის არგუმენტები იქნა წარდგენილი ამ საჩივრის მხარდასაჭერად, იმეორებს, რომ მე-14 მუხლს არ აქვს დამოუკიდებელი მოქმედების ძალა, რადგან მას აქვს ეფექტი მხოლოდ სხვა კონვენციით და მისი ოქმებით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთობლიობაში.

იმის გატვალისწინებით, რომ მომჩივნებს სურთ იჩივლონ დისკრიმინაციის დარღვევასთან დაკავშირებით კონვენციის მე-9 მუხლით და პირველი ოქმის მეორე მუხლით გათვალისწინებულ მათ უფლებებთან ერთობლიობაში, რადგანაც ისინი არ იყვნენ კათოლიკური რელიგიის მიმდევრები და მეორე და მესამე მომჩივნების წინაშე წარდგენილი იყო ჯვარცმა საკლასო ოთახში, სასამართლო ვერ ხედავს ამ საჩივრებში რაიმე განსხვავებულ საკითხს, რომელიც არ იყო გადაწყვეტილი პირველი ოქმის მეორე მუხლით. შესაბამისად არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა მოხდეს განცხადების განხილვა ამ ნაწილში.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ადგენს თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ადგილი არ ჰქონდა მეორე ოქმის პირველი მუხლის დარღვევას და რომ არ წარმოიშობა ცალკე აღებული საკითხი კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით.

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

2. ადგენს ერთხმად, რომ არ არსებობს კონვენციის მე-14 მუხლის შესახებ საჩივრის განხილვის მიზეზი.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯაროდ ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგი 2011 წლის 18 მარტს.

ერიკ ფრიბერგი
რეგისტრატორი

ჯან პოლ კოსტა
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი განსხვავებული აზრები ერთვის თან წინამდებარე განაჩენს:

- (ა) მოსამართლე როზაკისის თანმხვედრი აზრი, მხარდაჭერილი მოსამართლე ვაჯიჩის მიერ;
- (ბ) მოსამართლე ბონელოს თანმხვედრი აზრი;
- (გ) მოსამართლე პაუერის თანმხვედრი აზრი;
- (დ) მოსამართლე მალინვერნის განსხვავებული აზრი, მხარდაჭერილი მოსამართლე კალაჯიევას მიერ.

ჯ.-პ.კ.

ე.ფ.

ლაუტსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ გადაწყვეტილება

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.